

HELLO!
GEORGIA
4.00₾ • #016
ნოემბერი 2017
NOVEMBER
Must-Haves
GET FEATHERED
BLACK & BLUE
MASCULIN FÉMININ
ექვთიმე ღვთისკაცი
ფილმი, რომელიც ქართველმა ხალხმა შექმნა
დინამოს
ახალი სიცოცხლე
გიორგი ხვედელიანი, ზუკა რურუა და მიშა ბაღათურია
ჯენიფერ ლოპესი
ჰემფთონსში მდებარე საოცნებო სახლში გვეპატიჟება
ლიკა ქავჟარაძე
ქართული სილამაზის ეტალონი
ISSUN 2449-2590
9 772449 259004


faberlic
faberlic.com


faberlic
OXIOLOGY OXYGEN COSMETICS 2
4D TARGET INNOVATION
ЛЕГЕНДАРНЫЙ КИСЛОРОД
КИСЛОРОДНЫЙ БАЛЬЗАМ
OXYGEN BALM
ტექნოლოგია
4DTARGET
შექმნილია ჟანგბადის დრონების ფუძეზე, უზრუნველყოფს მიზანმიმართულ ზემოქმედებას კანის უჯრედებზე 4 მიმართულებით
კანი სუნთქავს და ივსება სიცოცხლითა და და ნათელი ფერით
ასტიმულირებს უჯრედებში ენერგიის მაქსიმალურ გამომუშავებას
აჯერებს კანის უჯრედებს ჟანგბადით
იცავს თავისუფალი რადიკალებისგან
აძლიერებს მიკროცირკულაციას
FABERLIC-ის ლაბორატორიის ინოვაცია
OXIOLOGY™ OXYGEN COSMETICS 2
თქვენი კანის ღრმა სუნთქვა
6+ რეკლამა შპს "ფაბერლიკ-საქართველო", საქართველო, ქ. თბილისი, გ. გეგეჭკორის ქ.18


2-6 NOVEMBER
SPRING/SUMMER 2018
Mercedes-Benz FashionWeek
TBILISI
CONCEPT EQ
ENTERPRISE GEORGIA
Georgia
Coca-Cola
BENEXT
FASHION DESIGN CONTEST
RUSTAVELI THEATRE
KEUNE


WWW.MBFASHIONWEEKTBILISI.COM






აღმოაჩინე PANDORA-ს ზამთრის ახალი კოლექცია
TIME-ის ფილიალებსა და PANDORA-ს კონცეპტუალურ მაღაზიაში.

TIME

რუსთაველის 46
პეკინის 18
ს/ც ჯი-თი-სი
ს/ც თბილისი მოლი

ს/ც ისთ ფოინთი
აღმაშენებლის 98
+995 322 000 280

# რედაქტორის წერილი



*რთველის, ღვინისა და ფოთოლცვენის სეზონი უკან მოვიტოვეთ და სანამ ზამთარს შევეგებებით, HELLO!-ს გუნდი ნოემბრის ნომერს გაგაცნობთ. მთავარი თემები ტრადიციულად უცვლელი რჩება — ქართველი და ჰოლივუდელი ვარსკვლავები, შოუბიზნესის სიახლეები, მოდა, თავის მოვლა, სილამაზე, მოგზაურობა და კულინარია.*

HELLO!-ს მე-16 ნომერში კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს ყველა დროის ყველაზე ლამაზ ქართველ ქალად აღიარებული მსახიობის – **ლიკა ქავჟარაძის** ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთი გმირი **ჯენიფერ ლოპესია**. პოპულარული ქალბატონი, რომელიც მსახიობობასა და მომღერლობას დედობასა და ბიზნესლედობასაც უთავსებს, HELLO!-სთან საკმაოდ გულახდილ ინტერვიუში საკუთარ მიღწევებსა და სამომავლო გეგმებზე საუბრობს.

ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ გადაღებული პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმის შესახებ, თავად მისი ავტორი – **ნიკოლოზ ხომასურიძე** გესაუბრებათ. რეჟისორი, რომელმაც ნამუშევარი ქართველი ხალხის დახმარებით შექმნა, საკუთარ გამოცდილებაზე, სამუშაო პროცესსა და უშუალოდ ფილმზე მოგვიყვება.

შოუბიზნესის ადგილობრივ ვარსკვლავებთან ერთად, ჩვენს ფურცლებზე ახალგაზრდა თაობის წყალბურთელებსაც შეხვდებით, რომლებიც საქართველოს საზღვრებს გარეთაც უწევენ პოპულარიზაციას.

ცხადია, HELLO!-ს ყურადღების მიღმა არც პოპულარული ტელეწამყვანის – **ინგა გრიგოლიას** ქალიშვილის ქორწილი დარჩენილა. რა თქმა უნდა, არც ის გამოგვპარვია, რომ ყველასთვის საყვარელი ტელესახე – **რუსკა მაყაშვილი**, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ ჩვენი ჟურნალის გარეკანსაც ამშვენებდა, პირველი შვილის დედა გახდა.

უამრავი საინტერესო სიახლე ელით ქალბატონებს მოდისა და თავის მოვლის რუბრიკაში. LIFESTYLE-ის ბლოკი ტრადიციულად უახლეს ტენდენციებსაც გაგაცნობთ. ნოემბერში განსაკუთრებით მოდური ბუმბულებიანი სამოსი, მასკულინური სილუეტები და ლურჯისა და შავის კომბინაცია გახლავთ.

მათ კი, ვინც ვარცხნილობის შეცვლას გეგმავს, სილამაზისა და თავის მოვლის ჩვენი ექსპერტები მელირების უახლეს მეთოდს გააცნობენ. ასევე წაიკითხავთ საინტერესო რეკომენდაციებს თმის ხარისხისა და მოცულობის გაუმჯობესების თაობაზე. გაიგებთ, როგორ შეებრძოლოთ ნაოჭებსა და დაბერების ნიშნებს უმტკივნეულოდ და რა მეთოდით შეგიძლიათ ცხვირის ფორმა ქირურგიული ჩარევის გარეშე შეიცვალოთ.

ვფიქრობ, საკმაოდ ვრცელი, საინტერესო ნომერი გამოგვივიდა და იმედი მაქვს მთელი თვის განმავლობაში კიდევ მრავალჯერ გადაფურცლავთ HELLO!-ს. მე კი დეკემბრამდე გემშვიდობებით და წინასაახალწლო ნომერზე მზადებას ვიწყებ.

*ნინო იოსელიანი*
*მთავარი რედაქტორი*

## რედაქტორის არჩევანი



გვ. 12





გვ. 96

გვ. 68





ღრუბელი
ორთქლის ქარხანა
#ღრუბელიგემრიელია
#ღრუბელიუვნებელია
#ღრუბელივაკე
ი. აბაშიძის 38
#ღრუბელისაბურთალო
მ. კოსტავას 76
#ღრუბელივერა
მ. კოსტავას 23
#ღრუბელითბილისიმოლი
#ღრუბელიგორი
სმარტი
#ღრუბელიფრესკოვაჟაზე
#ღრუბელიბათუმი
ghrubeli
ghrubeliofficial

HELLO! GEORGIA
#016 • ნოემბერი • 2017

# სარჩევი





„ექვთიმეს ლაშქარი“ 28



70 BLACK & BLUE

H&M 74



„დინამოს“ ახალი სიცოცხლე 46

## ვარსკვლავური ისტორიები

12 **ჯენიფერ ლოპესი** თავის საოცნებო სახლში გვეპატიჟება

28 **ნიკოლოზ ხომასურიძის** ფილმი ექვთიმე თაყაიშვილზე, რომელიც ქართველმა ხალხმა შექმნა

38 **ლიკა ქავჟარაძე** – უკვდავი სილამაზის სევდიანი ამბავი

46 **„დინამოს“** ახალი სიცოცხლე – წყალბურთის კლუბი სპორტულ ასპარეზზე დაბრუნდა

56 **ინგა გრიგოლიას** ქალიშვილის ქორწილის დაუვიწყარი დეტალები

## მუდმივი რუბრიკები

24 **CINEMA MATTERS** შუქი! კამერა! გადაღება!

34 **PANORAMA** – აქტიური მოქალაქის დღიურები

36 **30 დღე** – მსოფლიო მოვლენების მიმოხილვა

42 **INSIDE STORY** – ექსკლუზიური დეტალები ვარსკვლავების ცხოვრებიდან

106 **HALF HOUR** – ნიკა კუხალეიშვილი და გიორგი დობორჯგინიძე

დასაწ. 67 გვ.-დან

lifestyle

მოდა • სილამაზე • რჩევები
მოგზაურობა • კულინარია





Christian
BRETON
PARIS
N°1 Eye Care
ყველა ტიპის კანისთვის
Christian BRETON
PARIS
3 MASQUES PATCHS VISAGE HYDRATANS
3 MASQUES PATCHS VISAGE ANTI-RIDES
3 MASQUES PATCHS VISAGE RAFFERMISSANTS
Lifting & Firming
3 Facial Patches Masks
with Powerful Collagen & Calming Plant Extract
Powerful Collagen & Orchid
PARABEN FREE
TESTED DERMATOLOGICALLY
დამატენიანებელი ნიღაბი პატჩი ჰიალურონის მჟავისა და მწვანე ჩაის ექსტრაქტით
ნაოჭსაწინააღმდეგო ნიღაბი პატჩი. Q10, B5, ლილიის ექსტრაქტი
ლიფტინგ ნიღაბი პატჩი კოლაგენისა და ორქიდეას ექსტრაქტით
რეკომენდირებულია გამოყენებამდე პროდუქცია 10 წუთით შევინახოთ მაცივარში
ჯპს
ექსკლუზიურად ჯიპისის სააფთიაქო ქსელში

# ლათინოამერიკელი ვარსკვლავის ცხოვრების არსი

# ჯენიფერ ლოპესი

## ჰემფთონსში მდებარე თავის საოცნებო სახლში გვეპატიჟება



ზედა: MICHAEL KORS. შარვალი: BRUNELLO CUCINELLI. ფეხსაცმელი: BUSCEMI. სამაჯურები: BUTANE. ბეჭდები: LANA JEWELRY, JENNIFER FISHER.

ჯენიფერი ლეგენდარული ფოტოგრაფისთვის – პატრიკ დემარშელიესთვის ჰემფთონსში მდებარე თავისი ნიუ-იორკული სახლის ბაღში პოზირებს. ველოსიპედები და ქუდები მისი მომავლის ხედვის ნაწილია (მარცხნივ). „ყოველთვის ვამბობდი, რომ მეყოლებოდა ველოსიპედი და ვიყიდდი ქუდებს, რომელსაც ხანშიშესული ვატარებდი“

ჯენიფერ ლოპესმა ყველაფერი მოახერხა – წარმატებული მსახიობი, კინო და ტელეპროდიუსერი, მოწოდებით მოცეკვავე, ტყუპების მარტოხელა (და საკმაოდ აქტიური) დედა, მეწარმე, ე.წ. FASHION ICON (KOHL'S), მსოფლიო დონის სილამაზის ელჩი (L'ORÉAL), ბეისბოლის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული მოთამაშის (NEW YORK YANKEES-ის ყოფილ მოთამაშე ალექს როდრიგესის) მეგობარი ქალბატონი, ლუპესა და დეივიდის ერთგული ქალიშვილი და ლინდასა და ლესლის უსაყვარლესი და გახლავთ. თუმცა J-LO-სთვის რაღაცის თავიდან შექმნა საჭიროებასთან ასოცირდება. ახალ ალბომში, POR PRIMERA VEZ, იგი საკუთარ მუსიკალურ დიაპაზონს ახლადაღმოჩენილ „მე“-ს გამოსახატად იყენებს, თითქოს ეს პირველად ხდება.

ჩვენ მისი საოცარი ცხოვრების ერთი დღის ნაწილი გავხდით. ჰემფთონსში მდებარე ჯენიფერის ჯადოსნურ და სტუმართმოყვარე სახლში, რომელიც მუდამ სავსეა ოჯახის წევრებითა და მეგობრებით, შევხვდით ქალს, ▶



„ყოველთვის მინდა უკეთესი ვიყო, ყოველთვის მინდა გავიზარდო და ისეთი რამ ვაკეთო, რაც აქამდე არ გამიკეთებია“

ჯენიფერი აუზთან ისვენებს. არასოდეს ჩერდება, „როგორც ნამდვილი ნიუ-იორკელი“. შვიდი წლის მანძილზე პირველი შვებულება გასულ ივნისში, მეგობარ მამაკაცთან – ალექს როდრიგესთან ერთად გაატარა.

ტანსაცმელი: BALMAIN. სამკაულები: LANA JEWELRY.

## „მინდა ვიყო იქ, სადაც მუსიკაა. ყოველთვის მსურდა მემუშავა ახალ არტისტებთან და რაიმე ორიგინალური შემექმნა“

რომელიც ყველას აღფრთოვანებას იწვევს. ყოველ კვირას, ჩვენ და ჯენიფერი, რომელიც თავად ამზადებს ტრადიციულ პუერტო-რიკულ საჭმელს თავისი 9 წლის ტყუპებისთვის – ემისა და მაქსისთვის (მისი ყოფილი მეუღლე, ლათინოამერიკელი მუსიკოსი – მარკ ენტონი გახლავთ), გეპატიჟებით VIP-ტურში, რომელიც ბრონქსის დივას ცხოვრების ერთ დღეს მოიცავს.

სუპერვარსკვლავს სტუმრად ვეწვიეთ და ვესაუბრეთ მის ახალ ესპანურენოვან ალბომზე, ცეკვისა და ისეთ მუსიკოსთა შემოქმედების სიყვარულზე, როგორებიც არიან ნიკი ჯემი, GENTE DE ZONA და WISIN, და თავად მომღერლის ჭეშმარიტ AMOR, AMOR, AMOR-ზე.

**მომავალი თაობები სიტყვა „წარმატების“ განსაზღვრების გასწვრივ უდავოდ თქვენს ფოტოს იხილავენ. დარჩა რამე, რასაც პირველად ჰკიდებთ ხელს?**

**ჯ.ლ.** სასიამოვნოა თქვენგან ამის მოსმენა. ალბათ ამიტომაც მომწონს სათაური POR PRIMERA VEZ („პირველად“). მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის ჩემი პირველი ესპანურენოვანი, ან ზოგადად, ჩემი პირველი ალბომი, აქ საქმე სრულიად სხვა რამეში გახლავთ. ეს იმაზეა, თუ როგორ ვქმნით ხელახლა ჩვენ თავს, ვიღებთ პირველ გამოცდილებას და მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი წლის ვართ. ყოველთვის არსებობს ახალი დასაწყისი. ჩემთვის ეს ახალშობილის, ახალი პროექტის ტოლფასია. ისეთი რამის, რაც აქამდე არ გამიკეთებია. სწორედ ეს არის ხელოვნება – არაფრისგან რაღაცის შექმნა, რაც შემდეგ ახალ რამედ იქცევა. ამ დისკით ზუსტად ეს ვიგულისხმე. ალბომში შესული სიმღერები პირველად შეიქმნა. ყველაფერს ამ სიტყვებითა და მუსიკით გადმოვცემ. ნამდვილად დიდი ფიქრის შედეგია“.

**ამ ალბომის 13 სიმღერის მოსმენისას შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ამ პროექტს ნოსტალგიის ელფერი დაკრავს. ასეა?**

**ჯ.ლ.** ასე ვერ ვიტყოდი. ალბათ უფრო რომანტიკული, გულიდან წამოსული, დაღვინებული. ეს ალბომი არის იმაზე, თუ ვინ ვარ დღეს და რითი განვსხვავდები წარსული „მე“-სგან. ესეც კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც ავირჩიე სახელწოდებად POR PRIMERA VEZ, რადგანაც ვგრძნობ, რომ გასული ხუთი თუ ექვსი წლის განმავლობაში ძალიან შევიცვალე და გავიზარდე.

**უკეთესი გახდით?**

**ჯ.ლ.** ბავშვების დაბადების შემდეგ ძალიან შევიცვალე. იმდენი რამ მოხდა ამ წლების განმავლობაში... გამუდმებით ვიზრდებოდი და ვიცვლებოდი. ყოველთვის მინდოდა უკეთესი ვყოფილიყავი, ყოველთვის მსურდა გავზრდილიყავი და ისეთი რამ მეკეთებინა, რაც მანამდე არ გამიკეთებია. ყოველი დღე ხომ ახალი შანსია იმისათვის, რომ გახდე უკეთესი, ვიდრე იყავი. ჩემი ცხოვრებაც ასე გავატარე – მნიშვნელობა არ აქვს, ვმღეროდი თუ როლს ვასრულებდი. უბრალოდ, საკუთარ თავს ვეკითხებოდი: „ხომ უკეთ გამომივიდა, ვიდრე ადრე? შეიმჩნევა რაიმე ზრდა? მივდივარ წინ?“ არავის უნდა ერთი და იგივეს კეთება, ერთ ადგილას გაჩერება. მაშინ კვდომას იწყებ, ხომ მართალია? მე ასე არ ვცხოვრობ.



კაბა: MARIA LUCIA HOHAN. ფეხსაცმელი: AQUAZURRA. სამკაული: LANA JEWELRY



თავისი 30-წლიანი კარიერის მანძილზე, ჯენიფერს 100-ზე მეტი ჯილდო გადაეცა. ამასთანავე, ის ფეხზე მყარად დგას და პირველ ადგილზე ყოველთვის ოჯახს აყენებს: „კვირადღის გატარება ბავშვებთან და მამაჩემთან ერთად მიყვარს“

**ეს უშიშარი დამოკიდებულება არის ის, რის გამოც ბევრი ქალი თქვენით აღფრთოვანებულია. ჩვენ ვართ პრაქტიკულად იმ ყველაფრის მოწმეები, რასაც თქვენ სცენაზე, გადასაღებ მოედანსა და მუსიკაში აკეთებთ. ვიღაცამ შესაძლოა თქვას კიდეც, რომ თქვენი ცხოვრება პერიოდებადაა დაყოფილი — ისევე, როგორც პიკასოსი. რომელ ფერს შეარჩევდით ცხოვრების ამჟამინდელი პერიოდის აღსაწერად?**

**ჯ.ლ.** „ოქროს ხანას“ ვუწოდებდი. ვგრძნობ, რომ უწინდელზე მეტად ვბრწყინავ. უკეთესი ვარ, როგორც ადამიანი, ქალიშვილი, დედა, მეგობარი და როგორც პარტნიორი. უკეთესი ვარ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს გავიზარდე. ცხოვრებაში პირველად ვგრძნობ, რომ სწორ ადგილას მოვხვდი. ვიცი, ვინ ვარ, ყველაფერი ვიცი ჩემ შესახებ და მიღებული გამოცდილებიდან ვგრძნობ, სად მჭირდება განვითარება. ვიცი ჩემი ყველა უარყოფითი დეტალი, რომელიც გამოსასწორებელია. ხომ გესმით, რასაც ვგულისხმობ?..

**თქვენი ყველა ნაკლი მშვიდად მიიღეთ...**

**ჯ.ლ.** მინდა უკეთესი ვიყო, და ეს ნორმალურია. საკუთარ თავს ვიღებ ისეთს, როგორიც გახლავართ. აქ სრულყოფილებისთვის არ ვარ, არამედ იმისათვის, რომ ვიყო საუკეთესო – რასაც უნდა ნიშნავდეს ეს ჩემთვის.

**გამოდის, ახლა ჯენიფერის საუკეთესო ვერსია გვაქვს?**

▶



**„ჩემი შვილები ყველაზე მშვენიერი რამაა, რაც კი ამქვეყნად მაქვს“**

ჯენიფერმა და მისმა ქალიშვილმა ემიმ ფოტოგადაღების დროს ძალიან იხალისეს. „ემის ვკითხე, ამ ფოტოსესიაში მონაწილეობის მიღება თუ უნდოდა, მან კი იკითხა: რისთვის ვიღებთ? ვუპასუხე, რომ HELLO!-სთვის, და ისიც დამთანხმდა“





**ჯ.ლ.** ამისთვის ვიბრძვი – რომ ვიყო მუდამ საუკეთესო. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემსა და საკუთარ შვილებს, და ყველას ჩემ გარშემო შარავანდედი ადგას და სინათლეს გვასხივებს. გიჟურად ჟღერს.

**როგორ ერწყმის ეს თქვენს მუსიკას, ლას-ვეგასის სახლს ALL I HAVE, თქვენს პერსონაჟს სატელევიზიო კრიმინალურ სერიალში SHADES OF BLUE და სატელევიზიო შოუ WORLD OF DANCE-ის ჟიურის წევრობასა და პროდიუსერის ამპლუას?**

**ჯ.ლ.** თუ არტისტული კუთხით შევხედავთ, ეს არის მანათობელი ბურთი, რომელიც გარეთ ასხივებს შუქს. ათვლის წერტილი ჩემი შეგრძნებაა, მე კი კონცენტრირებული და ურყევი ვარ.

**განსაკუთრებით ლამაზი ადგილი შეგირჩევიათ საცხოვრებლად ამ მომენტში...**

**ჯ.ლ.** განვლილ ეტაპებზე საუბრისას, იყო ჩემს ცხოვრებაში მომენტები, როდესაც თავს ტყეში ან ზღვაში დაკარგულად ვგრძნობდი. ვცდილობდი ყველაფერი დამელაგებინა. ეს იგივეა, როცა არასწორ ადგილას მოხვდები და ფიქრობ, იქ როგორ აღმოჩნდი... შემდეგ კი ასეთი რამ მოგდის თავში: „ერთი წუთით, რაღაცა უნდა მესწავლა“... ეს ყველაფერი იმისთვის ხდება, რომ რაიმე ახალი ვისწავლო და შემდეგ საფეხურზე გადავიდე.

**როდესაც გაქვს ფული, სილამაზე (შინაგანი სილამაზეც იგულისხმება), დიდება, წარმატება და ჯანმრთელობა, დარჩა კიდევ რამე?.. ეს უდიდესი შრომის შედეგია, 20-წლიანი ოცნებების ნაყოფი. მომთმენი ბრძანდებით?**

**ჯ.ლ.** თუ საქმე მნიშვნელოვან რამეს ეხება – დიახ, მომთმენი ვარ. მიყვარს ცხოვრების სწრაფი ტემპი. ვერ ვიტან ლოდინს. მომთმენი ვარ ადამიანების მიმართაც. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ აჩქარებაც მიყვარს. ამავდროულად, ვერაფერს ვუკვეთავ ტელეფონით, ამაზე ძალიან დიდი დრო მიდის. ბოლოს ყურმილს ვკიდებ.

**ნამდვილი ნიუ-იორკელივით მაქსიმალურ სისწრაფეს იღებთ...**

**ჯ.ლ.** დიახ, ასე ვამბობ ხოლმე: „მოდი ასე გავაკეთოთ – მინდა ბავშვებთან, შინ“.

**გამუდმებით მუშაობთ. ისვენებთ ხოლმე?**

**ჯ.ლ.** ცოტა ხნის წინ მე და ალექსი პარიზში ვიყავით, რადგან იქამდე აღვნიშნე, რომ შვიდი წელია არ დამისვენია. სასწაულივით იყო. პროექტებს შორის ექვსი თუ შვიდი თავისუფალი დღე გამომიჩნდა და ვთქვი: „მოდი, პარიზში წავიდეთ“. დიდად დასვენების მოყვარული არ ვარ. ისე კი, ნამდვილად მჭირდება.

**აშკარაა, რომ ცხოვრების საუკეთესო ეტაპს გადიხართ. თქვენი სოციალური ქსელის პოსტები თაყვანისმცემლების ნაკლებობას არ განიცდის, თქვენი სინგლები, NI TÚ NI YO GENTE DE ZONA-სთან და AMOR, AMOR, AMOR WISIN-თან ერთად სასიამოვნოდ ხვდება ყურს; თქვენი შთამბეჭდავი აუთფიტები თვალს ჭრის, ტანსაცმლისა და სუნამოს ხაზები კი შეხებასა და შეგრძნებას ამძაფრებს. გემოს შეგრძნებაზე რას იტყვით? კარგი მზარეული ბრძანდებით?**

**ჯ.ლ.** მიყვარს საჭმლის მომზადება. დამცინიან ხოლმე, იმიტომ რომ ამ მომენტში „ნათლიმამას“ ვგავარ. ასეთი მიდგომა მაქვს: „საქმეზე ვისაუბროთ, ოჯახზე ვისაუბროთ“. მაგრამ დიახ – სამზარეულოში ტრიალი მიყვარს და კარგი მზარეულიც ვარ. შეგიძლიათ ჩემს ოჯახის წევრებთან გადაამოწმოთ. ▶

კომბინეზონი: MILLY. საყურეები: JENNIFER FISHER



ჯენიფერი აღიარებს, რომ განქორწინების შემდეგ რთული პერიოდი ჰქონდა, თუმცა მისი ამჟამინდელი მეგობარი მამაკაცი — ალექს როდრიგესი მას მთლიანად ავსებს: „ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ვგრძნობ, რომ ერთმანეთს ვაკეთილშობილებთ“.

**„სიმართლე გითხრათ, ინგლისურად სიმღერა მირჩევნია და ეს არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, თუმცა ძალიან მომწონს ესპანურად სიმღერების შესრულებაც. უფრო რომანტიკული და ცეცხლოვანია“**



კაბა: DVF. ფეხსაცმელი: JIMMY CHOO

**ჰემფთონსში არაჩვეულებრივი სამზარეულო გაქვთ. მეგობრებისთვისაც ამზადებთ?**

**ჯ.ლ.** კვირა დღის გატარება ბავშვებთან და მამაჩემთან ერთად მიყვარს. ჩემი სახლი მუდამ სავსეა ოჯახის წევრებით, მეგობრებითა და პუერტო-რიკული საჭმლით.

**როდესაც ფოტოგადაღება გვქონდათ, აღნიშნეთ, რომ ეს არის თქვენი საოცნებო სახლი და ველოსიპედი ალექსმა გაჩუქათ. ასე რომ, შეგიძლიათ დატკბეთ ახალი რეალობით. ემოციური ხართ?**

**ჯ.ლ.** დიახ, ემოციური ვარ. გავიზარდე ნიუ-იორკში. ბრონქსში ქირით ვცხოვრობდით. ეს არის ჩემი ყველაზე ადრეული მოგონება ოჯახზე. სულ ხუთნი ვიყავით. მე და ჩემი დები ერთ ოთახს ვიყოფდით, მშობლები კი მეორეს. და აი, ერთხელაც ქალაქს შევერიე და ვეცადე გავმხდარიყავი მოცეკვავე, მომღერალი, მსახიობი. გავრისკე და გაბედული ნაბიჯები გადავდგი. ამიტომაც დავარქვი პირველ ალბომს ON THE 6, რადგან მგზავრობა ბრონქსიდან ქალაქში, მთვარეზე გაფრენავს ჰგავდა, იმდენად დიდ დროს საჭიროებდა. ისე შორს იყო, რომ სხვა სამყაროს, სხვა პლანეტას მიამსგავსებდით. მაგრამ ამან ამიხილა თვალი და დამანახა ყველაფერი. და მერე, 20 წლის ასაკში მოვხვდი რომელიღაც წვეულებაზე, რომელიც ჰემფთონსისნაირ ადგილას იმართება, და ვიფიქრე: „ეს რა არის? ხალხი ასე ცხოვრობს?“

**ის თუ იფიქრეთ: „რა უნდა გავაკეთო აქ მოსახვედრად?“**

**ჯ.ლ.** „არასოდეს მიფიქრია ასე, რადგან ჩემს დაბალყელიან ფეხსაცმელში, გახეხილ ჯინსებში ყოველთვის ბედნიერად ვგრძნობდი თავს. ვცეკვავდი, და ეს იყო ყველაფერი. მაგრამ მახსოვს, რომ რომელიღაც კონკრეტულ მომენტში, როდესაც უკვე შვილებიც მყავდა, გავიფიქრე: „მართლაც მინდა სახლი ჰემფთონსში. ბავშვებს და მეც ზაფხულობით დასასვენებელი ადგილი გვექნება“. იყო ამაში რაღაც რომანტიკულიც. განქორწინების შემდეგ მძიმე პერიოდი მქონდა და საკუთარ თავს ვუთხარი: „მე ამას გავაკეთებ. ისეთი ვიქნები, როგორც ის ქალი, რომელსაც ფილმში SOMETHING’S GOTTA GIVE დაიან კიტონი თამაშობს. აღარასოდეს დავქორწინდები და სამუდამოდ მარტო ვიქნები“. სრული სისულელე! ყველაფერს გააკეთებ თუ ამის სურვილი გაქვს, თუმცა მაშინ სხვა განწყობა მქონდა. ვფიქრობდი, რომ ჩემს ლამაზ სახლში, ჰემფთონსში ბედნიერი ვიქნებოდი. ჩემი შვილები მოსანახულებლად ხშირად მოვიდოდნენ და მათაც ეყვარებოდათ ეს სახლი, რადგანაც აქ გაიზარდნენ და ყველა ზაფხულს აქ ატარებდნენ. ახალი ოცნების შექმნა მინდოდა, ასე რომ, ეს სახლი ჩემთვის ბევრი რამის სიმბოლოა. ყოველთვის ვამბობდი, რომ მეყოლებოდა ველოსიპედი და ვიყიდდი ქუდებს, რომელსაც ხანშიშესული ვატარებდი, თითქოსდა ახლა არ ვატარებ!.. ვემზადები ▶





ფოტო: NORMA KAMALI.

იმ დროისთვის, როდესაც ექსცენტრიკული ასაკოვანი რეჟისორი ვიქნები და წიგნებსაც დავწერ. სასაცილო ის გახლავთ, რომ უკვე ვარ ასეთი.

**მათ, ვინც უკვე ნახა თქვენი ვეგასური შოუ ALL I HAVE, იციან, რომ ხალისი და მხიარულება გიყვართ...**

**ჯ.ლ.** არაჩვეულებრივი შოუა გოგონებისთვის, რომლებიც გასართობად გამოვიდნენ. ეს ხასიათი დაჰყვება სიმღერას POQUITO DE TU AMOR. ყველაზე მეტად სწორედ ეს ხასიათი მომწონს ამ ალბომში. ეს მარკის (ენტონის) ხელწერაა. თავდაპირველად ყველაფერს ბალადის სტილში წერს, მხოლოდ ფორტეპიანოთი. სალსას სტილის ალბომის გაკეთებას არ ვგეგმავდით, მაგრამ ასე გამოვიდა. მარკი მიიჩნევს, რომ ძალიან კარგი სიმღერის დაკვრა მარტივად, პიანინოზეც არის შესაძლებელი. ამიტომაც დავიწყეთ სწორედ აქედან. წარმოდგენა არ გვქონდა როგორი ჟღერადობა ექნებოდა ალბომს, როგორ მოხდებოდა მისი პროდიუსინგი. მარკი ამ ყველა ბალადას სალსას ხასიათს უმატებს და მე მარგებს.

**თქვენი ცხოვრებაც ახალი ალბომივითაა — ეკლექტიკური...**

**ჯ.ლ.** ვიცი. ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ ეს ბედნიერების მუსიკაა. სიხარულთან და ხალისთანაა ასოცირებული. სამი თუ ოთხი ბალადაც არის.



**„დიახ, ემოციური ვარ. გავიზარდე ნიუ-იორკში. ბრონქსში ქირით ვცხოვრობდით. ეს არის ჩემი ყველაზე ადრეული მოგონება ოჯახზე. სულ ხუთნი ვიყავით. მე და ჩემი დები ერთ ოთახს ვიყოფდით, მშობლები კი მეორეს“.**

**„პროექტებს შორის ექვსი თუ შვიდი თავისუფალი დღე გამომიჩნდა... და ვთქვი: მოდი პარიზში წავიდეთ“**



**„ბავშვების დაბადების შემდეგ ძალიან შევიცვალე. იმდენი რამ მოხდა ამ წლების განმავლობაში... გამუდმებით ვიზრდებოდი და ვიცვლებოდი. ყოველთვის მინდოდა უკეთესი ვყოფილიყავი, ყოველთვის მსურდა გავზრდილიყავი და ისეთი რამ მეკეთებინა, რაც იქამდე არ გამიკეთებია. ყოველი დღე ხომ ახალი შანსია იმისათვის, რომ გახდე უკეთესი, ვიდრე იყავი. ჩემი ცხოვრებაც ასე გავატარე – მნიშვნელობა არ აქვს, ვმღეროდი თუ როლს ვასრულებდი“.**

**ÉI სევდიანი სიმღერაა, თუმცა თქვენ მას მეამბოხე და არა გაბრაზებულ სტილში ასრულებთ – ისე, როგორც ვიღაც, ვინც გულში არ იტოვებს წყენას და ყველაფერს ისე იღებს, როგორც საჭიროა. მზად ხართ წარსულის შეცდომებზე ისწავლოთ?**

**ჯ.ლ.** ვფიქრობ, ამ ალბომში ადამიანის დახასიათების კარგი ხერხია მოცემული. მთავარი მხოლოდ ის არის, რაც შენია; დანარჩენს მნიშვნელობა არ აქვს. POR PRIMERA VEZ იყო პირველი სიმღერა, რომელიც დავწერეთ. კენის (გარსიას) ვუთხარი, რაზე მინდოდა ყოფილიყო ალბომი, მან კი უბრალოდ სიმღერის წერა დაიწყო. სიმღერების ტექსტები და ამბებიც ასე შეიქმნა.

**სხვებისგან სწავლის არ გეშინიათ. ამ ალბომზე თანამშრომლობთ ლათინური მუსიკის რამდენიმე ვარსკვლავთან. როგორ გადაწყვიტეთ, ვისთან ერთად გემუშავათ?**

**ჯ.ლ.** „არასოდეს მინდა გაჩერება. მინდა ვიყო იქ, სადაც მუსიკაა. ყოველთვის მსურდა მემუშავა ახალ არტისტებთან და რაიმე ორიგინალური შემექმნა. მარკმა მკითხა: „ვისთან ერთად გინდა მუშაობა?“ და მეც ვუთხარი: „ნიკი ჯემთან – მომწონს მისი მელოდიები“, – რაზეც მარკმა მიპასუხა, დავურეკავო. შედეგად მივიღეთ სიმღერა A TU LADO.

**ნამდვილად არ ივიწყებთ ფესვებს. ესპანურ ენაზე გირჩევნიათ სიმღერა?**

**ჯ.ლ.** სიმართლე გითხრათ, ინგლისურად სიმღერა მირჩევნია და ეს არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, თუმცა ძალიან მომწონს ესპანურად სიმღერების შესრულებაც. უფრო რომანტიკული და ცეცხლოვანია. ესპანურად თითქოს უკეთ ვმღერი. სიმღერების ინტერპრეტირებას განვლილ ცხოვრებაზე დაყრდნობით ვახდენთ. სიმღერა NI TÚ NI YO რთული შესასრულებელი იყო. ისეთი რაღაცები მომწონს, რაც ადრე წარმოუდგენლად მეჩვენებოდა. მიყვარს ჰიტები, თუმცა გამოწვევების მიღებაც მომწონს. ვფიქრობ ხოლმე: მაქვს თუ არა გათავისებული ესა თუ ის სიმღერა? ნამდვილად ეს არის ჩემი სათქმელი? შემდეგ კი ნაბიჯს ვდგამ და ვამბობ: „კარგი, მოდი ვცადოთ“. ▶

**„როდესაც საჭმელს ვამზადებ, ნათლიმამას ვგავარ. ასეთი მიდგომა მაქვს: საქმეზე ვისაუბროთ, ოჯახზე ვისაუბროთ. მიყვარს მზარეულობა“**



ზედა: MOSCHINO

**ჯენიფერი მრავალმხრივი ნიჭით არის დაჯილდოებული. „კარგი მზარეული ვარ. შეგიძლიათ ჩემი ოჯახის წევრებთან გადაამოწმოთ“, – ამბობს ის. ნიუ-იორკში დაბადებული, წარმოშობით პუერტო-რიკოელი ჯენიფერი, პუერტო-რიკულ საჭმელზე გაიზარდა და ამჟამად თავის შვილებსაც ამ სამზარეულოს კერძებით ანებივრებს.**






**ახლახან გამოვიდა სინგლი Ni Tú Ni Yo მისი ახალი ალბომიდან POR PRIMERA VEZ, რომლის რელიზი გასულ თვეს შედგა. სტუდიაში, ჩაწერებს შორის კი, ჯეი ლო მონაწილეობდა ამერიკულ ტელესერიალში SHADES OF BLUE, სადაც მას პარტნიორობას რეი ლიოტა უწევდა.**

დამატებითი ფოტო: JEFF RIEDEL/NBC

**მაქსი და ემი ყოველთვის თქვენთან ერთად არიან. რას ნიშნავს თქვენთვის მარტოხელა დედობა?**

**ჯ.ლ.** ჩემი შვილები ყველაზე მშვენიერი რამაა, რაც კი ამქვეყნად მაქვს. ემის ვკითხე, ამ ფოტოსესიაში მონაწილეობის მიღება თუ სურდა, მან კი იკითხა: „რისთვის ვიღებთ?“ ვუპასუხე, HELLO!-სთვის-მეთქი, და ისიც დამთანხმდა. მიყვარს ბავშვებისთვის საჭმლის მომზადება, მიყვარს, როცა ჩემს სახლში საკუთარ ოჯახის წევრებს ვმასპინძლობ.

**თვითდაკვირვებას ეწევით და კონცენტრირებული ხართ. ალექს როდრიგესთან სტაბილური ურთიერთობა გაკავშირებთ და ბედნიერად გამოიყურებით. პირველად ხართ შეყვარებული?**

**ჯ.ლ.** ალექსთან კარგი ურთიერთობა მაქვს. იმას არ ვამბობ, რომ სიყვარულითა და თავგადასავლებით სავსე თავბრუდამხვევი რომანები არ მქონია, მაგრამ ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ვგრძნობ, რომ ერთმანეთს ვაკეთილშობილებთ. ერთმანეთს ვავსებთ და ეს არის ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული, რომელიც მეორე ადამიანისთვის ბედნიერების მინიჭებასა და მხარდაჭერას გულისხმობს. განსხვავებული თავგანწირვაა – ლამაზი და ჯანსაღი!

**ალექსი და თქვენ ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევთ...**

**ჯ.ლ.** ძალიან ჯანსაღი ურთიერთობა გვაქვს. ორივეს გვინდა ჯანმრთელები ვიყოთ. ორივეს შვილები გვყავს, რომელთათვისაც მაგალითი ვართ.

**ეს თქვენ მიერ გამოქვეყნებულ თითოეულ ვიდეოში ჩანს. ხალხი ყოველთვის გრძნობს ნამდვილს...**

**ჯ.ლ.** ერთმანეთის მიმართ დიდი პატივისცემა გვაქვს. რაღაც კუთხით ერთნაირად დავიწყეთ და ყველაფერს თავად მივაღწიეთ. გვქონდა რთული პერიოდებიც, თუმცა ამან უფრო გაგვაძლიერა, უკეთესები გაგვხადა. ეს სულაც არ იყო ადვილი. სირთულეებს არ უნდა დანებდე. ამ თვალსაზრისით, ძალიან ვგავართ ერთმანეთს, არ ვნებდებით. ალექსს ჩემსავით უყვარს მუშაობა. იგივე სამუშაო ეთიკა აქვს, რაც მე, და ეს მომწონს.

**ის ფაქტიც, რომ ორივე ნიუ-იორკიდან – საუკეთესოთა ქალაქიდან ხართ, არ არის დამთხვევა...**

**ჯ.ლ.** მნიშვნელობა არ აქვს, სად წავალ. მე ბრონქსიდან ვარ, პუერტო-რიკოელი ვარ და ამით ვამაყობ. **H**

---

**ტექსტი:** CRISTY MARRERO
**ფოტო:** PATRICK DEMARCHELIER
**ვარხნილობა:** CHRIS APPLETON
**მაკიაჟი:** SCOTT BARNES
**სტილისტი:** ROB ZANGARDI
**სტილისტის ასისტენტი:** KELLY JOHNSON
**მანიკიური:** TOM BACHIK





# ჭეშმარიტად ქართული გასტრონომიული მოგზაურობა

ავთენტური ქართული სამზარეულო საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი პიკანტური თავისებურებებით აქ ფრთებს შლის. ექსკლუზიური ქართული და ევროპული ღვინოების ფართო არჩევანი კი სწორედ ის არის, რაც აქ, მსოფლიოს კულტურების, რელიგიებისა და ცივილიზაციების თანხვედრის ცენტრში შეიძლება დააგემოვნოთ.

ღვინის რესტორანი ძველი თბილისის გულში

2017 CERTIFICATE of EXCELLENCE tripadvisor

რკინის რიგი #6, თბილისი; +995 599 25 06 25; +995 32 2 75 10 38

/tiflismeidani Tiflis Meidani /tiflismeidani



Forthcoming Marriages

MR K.C. HARINGTON AND MISS R.E. LESLIE

The engagement is announced between Kit, younger son of David and Deborah Harington of Worcestershire, and Rose, middle daughter of Sebastian and Candy Leslie of Aberdeenshire.

# კიტ ჰარინგტონი და როუზ ლესლი სიყვარულის თამაშებში





მიუხედავად იმისა, რომ კიტი და როუზი უკვე 5 წელია ერთად არიან, ფართო საზოგადოების წინაშე, ოფიციალურად, როგორც წყვილი, გასული წელს Olivier Awards-ზე გამოცხადდნენ.

მაშინ, როდესაც სრულიად სამყარო ელოდება „**სამეფო კარის თამაშების**“ ახალ სეზონს, **კიტ ჰარინგტონის** გმირისა და დრაკონების დედოფლის სასიყვარულო ურთიერთობები ერთ-ერთი ყველაზე განხილვადი თემაა გულშემატკივართა შორის. **ჯონ სნოუს** როლის შემსრულებელი დროს არ კარგავს და **როუზ ლესლიზე** ინიშნება, რომელთან ერთადაც ამავე სერიალში შეყვარებულის როლი უკვე ითამაშა.

ხუთწლიანი ურთიერთობის შემდეგ, წყვილმა სიახლე ახლობლებსა და გულშემატკივრებს ძველებურ-ტრადიციულ სტილში, გაზეთ **THE TIMES**-ში განცხადების მეშვეობით ამცნო.

მსახიობი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ „**სამეფო კარის თამაშების**“ გადაღებებიდან ყველაზე ტკბილად ისლანდია ახსენდება: „***ისლანდიაში გატარებული სამი კვირა ყველაზე დასამახსოვრებელი აღმოჩნდა. ქვეყანა ხომ ულამაზესია, მაგრამ ზღაპრული იყო ჩრდილოეთის ციალის ხილვა. თუ ვინმე განსაკუთრებულად მოგწონს და მასთან ერთად გიწევს თამაში, შეუძლებელია ეს ადამიანი თავდავიწყებით არ შეგიყვარდეს***“.

ფოტო: GETTY IMAGES.


OKTOPUS FITNESS CLUB
ok top us
ოკტოპუს ფიტნეს კლუბი
Be ok
Climb to the top
Become one of us
OPEN: 24/7
სანდრო ეულის ქუჩა #7, თბილისი
(+995) 32 2 301 888
info@oktopus.ge
www.facebook.com/Oktopusfitness/



ახალდაქორწინებულები ლოს-ანჯელესში საკუთარი სახლის ეზოში.



# FROZEN-ის ვარსკვლავის – იდინა მენზელის ზღაპრული ქორწილი

„კაროლინა ერერას“ ზღაპრულ კაბაში გამოწყობილი მსახიობი და მომღერალი – **იდინა მენზელი**, საკუთარ ქორწილში „დისნეის“ ნამდვილ პატარძალს ჰგავდა. იდინას რჩეული მსახიობი **აარონ ლორი** გახდა. წყვილმა ერთმანეთი 2005 წელს, ფილმ **RENT**-ის გადაღებისას გაიცნო, თუმცა ურთიერთობა მხოლოდ 2014 წელს დაიწყეს.

სიახლე ბროდვეის მსახიობმა INSTAGRAM-ზე გააზიარა, წარწერით: „***მინდოდა მეცნობა თქვენთვის, რომ მე და ჩემი ცხოვრების სიყვარული დავქორწინდით. საკურთხეველთან მამამ და ჩემმა შვილმა მიმაცილეს. და ეს ყველფერი ჯადოსნური იყო***“. პირველი ქორწინებიდან იდინას მსახიობ **თეი დიგსისგან** 8 წლის ვაჟი ჰყავს.



Genesis
a little piece of life...
კლინიკა „ᲒᲔᲜᲔᲖᲘᲡᲘ“, მიცკევიჩის ქ. 27ა, თბილისი • +995 (322) 30 66 64; +995 (591) 50 27 27 • fb.com/genesis.clinic.geo

# ნიკოლოზ ხომასურიძის მხატვრული ფილმი

# ექვთიმე ღვთისკაცი

## კინოსურათი, რომელიც ქართველმა ხალხმა შექმნა



„გაბედე ოცნება და არასოდეს არ დანებდე“ – ამ დევიზითა და პატრიოტული სულისკვეთებით აგრძელებს რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე ექვთიმეს ლაშქრის შეგროვებას, რომლის რაოდენობაც დღეისთვის რამდენიმე ათას ქართველს ითვლის. მხატვრული ფილმი საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის – ექვთიმე ღვთისკაცის შესახებ რიგითი მოქალაქეების მხარდაჭერით შეიქმნა. სიმბოლიკებით აღსავსე გზა თითქოს ექვთიმე თაყაიშვილის მფარველობით გაიარეს და დასასრულს მიუახლოვდნენ. ფილმს ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებაზე 2018 წელს არაერთ კინოფესტივალზეც ვიხილავთ, თუმცა მანამდე HELLO! იმ უცნაურ და საინტერესო გზას გაგაცნობთ, რომელიც რეჟისორმა შექმნის პროცესში ხალხთან ერთად გამოიარა.

**როგორც ვიცი, რეჟისორობამდე დიდი გზა გამოიარეთ, რაშიც ლოს-ანჯელესში მიღებული განათლება ძალიან დაგეხმარათ.**

ნ.ხ. „ძალიან მიყვარს ისტორიული ფილმები და ყოველთვის გული მტკი-





„გადაღებების წინ ლევილში წასვლა გადავწყვიტე, მინდოდა ის ადგილები მომენახულებინა, სადაც იმ პერიოდში ქართველები ცხოვრობდნენ. ფილმში რამდენიმე სცენა ლევილსა და პარიზშია გადაღებული“ (ზევით).

ოდა, რომ დიდგორის ბრძოლა არასოდეს გაუცოცხლებიათ. ჩემი ცხოვრების იდეალია ის 200 მეომარი, რომელიც მტერთან შესახვედრად პირველი წავიდა. მიზნად დავისახე, რომ ეს ისტორია გამეცოცხლებინა და გადავწყვიტე, განათლება ისეთ უმაღლეს სასწავლებელში მიმეღო, სადაც მიღებული ცოდნა ამ იდეის განხორციელებაში დამეხმარებოდა. 30 წლის ვიყავი, როდესაც სრულიად ახალ სამყაროში ახალი ცხოვრება დავიწყე. 2007 წელს ლოს-ანჯელესში გავემგზავრე და იქ კინოსკოლაში THE LOS ANGELES FILM SCHOOL-ში ჩავირიცხე. ფილმი „დიდგორი – თავგანწირულ რაინდთა სამშობლო“ ჩემი სადიპლომო ნამუშევარი იყო, რომელსაც კინოსკოლის მთავარ დარბაზში სპეციალური ჩვენებაც მიეძღვნა“.

### რატომ ექვთიმე?

**ნ.ხ.** 9 წლის ვიყავი, როდესაც რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმი – „ექვთიმე – საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ ვნახე და ამ გამორჩეული ადამიანის ცხოვრებით მოვიხიბლე. კინოსკოლის დამთავრების შემდეგ, საქართველოში 2010 წელს დავბრუნდი და ჩემი ახალი პროექტისთვის „დავიწყებული მეფე“ დავიწყე მზადება. ეს არის უწყვეტ კადრში გადაღებული 105 წუთი. ფილმის ერთ-ერთ სცენაში განდეგილ გიორგისთან ჩანს სახელოვანი ქართველების პორტრეტები, რომელთა შორის ერთ-ერთი ექვთიმე თაყაიშვილის ფოტო გახლდათ. როდესაც სამონტაჟო სამუშაოები მიდიოდა, ექვთიმეს ფოტო ხშირად მხვდებოდა თვალში. აქედან წამოვიდა იდეა, რომ შემდეგი ფილმი სწორედ მის ცხოვრებაზე გადამეღო და საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის მიმართ ჩემი პატივისცემა და მადლიერება გამომეხატა. ▶

„9 წლის ვიყავი, როდესაც ექვთიმეზე დოკუმენტური ფილმი ვნახე და ამ გამორჩეული ადამიანის ცხოვრებით მოვიხიბლე“








„დილით, მზის ამოსვლის სანახავად გამოვედი და მღვდელს შევხვდი. როდესაც სახელი ვკითხე, თავისი მშვიდი თვალებით შემომხედა და მიპასუხა: „ექვთიმე მქვიაო“. ეს იყო ენით აღუწერელი გრძნობა... თითქოს თავად ექვთიმემ დამილოცა გზა“ (მარჯვნივ).







„მაყურებელს წინასწარ უნდა შეეძინა ბილეთები და ეს თანხა ფილმის დასრულებაში დაგვეხმარებოდა, მაყურებელი კი ნამუშევრის ერთ-ერთი შემოქმედი გახდებოდა“.



„უკვე ბოლოსკენ მივდიოდით, როდესაც ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანებით დაკომპლექტებული კომპანია „ქართველი“ გამოჩნდა. მომღერალი ღვინო, რომელსაც „ქართული ხმების“ ბიჭები წარმოადგენენ. სწორედ მათი დახმარებით მოვახერხეთ გადაღებების დასრულება. ეს იყო უდიდესი გზა. სწორედ ამ კომპანიების წარმომადგენლები აღმოჩნდნენ იმ ეროვნული თვითშეგნების მქონე გამბედავი ადამიანები, რომლებიც ამ ფილმის მნიშვნელობას აანალიზებენ“.

ექვთიმე ჩემთვის ყველა კუთხით სამაგალითო პიროვნებაა – თავისი მისწრაფებებით, პროფესიონალიზმით... ჩემთვის იგი სიყვარულის სიმბოლოა.

**პირველი ნაბიჯები — როგორ შეიქმნა სცენარი?**

**ნ.ხ.** მე და ჩემმა მეგობარმა – ლაშა კანკავამ ექვთიმეს ფილმის განვითარებაზე დავიწყეთ მუშაობა. მოვიძიეთ უამრავი მასალა როგორც წიგნებიდან, ასევე თავად ექვთიმეს პირადი ჩანაწერებიდან. ამის შემდეგ დავიწყეთ მუშაობა სცენარზე. 2015 წლისთვის სცენარის საბოლოო ვერსია მივიღეთ.

**რამდენად რთული იყო მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობის პოვნა?**

**ნ.ხ.** რა თქმა უნდა, ამ როლის შესასრულებლად მხოლოდ კარგი მსახიობის პოვნა საკმარისი არ იყო. უპირველესად, ეს უნდა ყოფილიყო კარგი ადამიანი, რომელსაც გარკვეულწილად ექვთიმეს მსგავსი ცხოვრებისეული გამოცდილება ექნებოდა. ჩვენი ფილმის თანაპროდიუსერი ლაშა ონიანია, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს. სწორედ მან შემომთავაზა რეზო ჩხიკვიშვილის კანდიდატურა. ვიცოდი, რომ ბატონმა რეზომაც ემიგრაციაში 20 წელიწადზე მეტი გაატარა, ასე რომ ეს ვარიანტი ძალიან მომეწონა. შემდეგ მასთან სცენარი გავგზავნეთ. წაკითხვის შემდეგ, ბატონმა რეზომ სატელეფონო საუბარში მითხრა, რომ ეს სწორედ მისთვის განკუთვნილი როლი იყო. მოგვიანებით გავიგეთ, რომ ექვთიმეს და მისი როლის შემსრულებელს კიდევ ერთი რამ აკავშირებთ ერთმანეთთან: ბატონი რეზოც ლიხაურიდანაა – სწორედ იმ სოფლიდან, სადაც ექვთიმე გაიზარდა და მათი სახლები დაახლოებით 300 მეტრის დაშორებით დგას.

**თქვენს ისტორიაში ბევრი სიმბოლიკა ჩნდება..**

**ნ.ხ.** ყოველთვის ვოცნებობდი მყინვარწვერზე ასვლაზე. დავბეჭდე ექვთიმეს დროშა, რომელზეც ექვთიმეს ფოტოსთან ერთად მისი სიტყვებია მოყვანილი. ეს დროშა მყინვარწვერზე უნდა გამეშალა და ფილმის გადაღებები უფრო დიდი შემართებით დამეწყო. მყინვარწვერზე მდებარე მეტეოსადგურთან ერთი ღამე გავათენეთ. აღმოჩნდა, რომ მომდევნო დღეს, ზღვის დონიდან 4000 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ტაძარში ჯვრისწერა იმართებოდა. დილით, მზის ამოსვლის სანახავად გამოვედი და მღვდელს შევხვდი. ერთმანეთს გამოველაპარაკეთ და ჩემი იქ ყოფნის მიზეზი მოვუყევი. როდესაც სახელი ვკითხე, თავისი მშვიდი თვალებით შემომხედა და მიპასუხა: „ექვთიმე მქვიაო“. ეს იყო ენით აღუწერელი გრძნობა... თითქოს თავად ექვთიმემ დამილოცა გზა.

**რატომ გადაწყვიტეთ გადაღებებამდე ლევილში გამგზავრება?**

**ნ.ხ.** გადაღებების დაწყებამდე მინდოდა ლევილსა და პარიზში ის ადგილები მომენახულებინა, სადაც იმ პერიოდში ქართველები ცხოვრობდნენ. 2015 წლის აპრილში გავემგზავრე და გადაღებებისთვის ადგილებიც შევარჩიე. ფილმში რამდენიმე სცენა ლევილსა და პარიზშია გადაღებული.

**როგორც ვიცი, ფილმის პირველი პრომო საკუთარი ფინანსებით გადაიღეთ...**

**ნ.ხ.** გადავწვიტეთ პრომო-ვიდეოს გადაღება, რომლის მიხედვითაც მივხვდებოდით, როგორი ვიზუალით განვითარდებოდა მთლიანი ფილმის გადაღება. ჩამოვიყვანეთ ბატონი რეზო და 2015 წლის 19 მაისს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, საგურამოში საკუთარი ხარჯებით განვახორციელეთ გადაღებები. გავაცოცხლეთ ის სცენა, როდესაც ილია ჭავჭავაძე ერთმანეთს აცნობს ექვთიმეს და მის მომავალ მეუღლეს – ნინო პოლტარაცკაიას. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ანდრო ბედუკაძეს და სახლ-მუზეუმის თანამშრომლებს ჩვენი მხარდაჭერისთვის.

**როგორ დაიწყო ფილმის გადაღებები?**

**ნ.ხ.** პირველი სცენები ჩვენი სახსრებით გადავიღეთ. ეს ფილმის ძალიან მნიშვნელოვანი მონაკვეთია, რომელიც საავადმყოფოში ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის შეხვედრას ასახავს. ასევე გადავიღეთ ექვთიმესა და ნოე ჟორდანიას შეხვედრა, როდესაც საქართველოდან განძის გატანის ბედი წყდება. პირველი გადაღებები 2 დღე გაგრძელდა. ფილმის გადაღებების განმავლობაში, ბატონ რეზოს საქართველოში ჩამოსვლა სულ 18-ჯერ მოუწია, ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი კი გადაღებებზე 22-ჯერ შეიკრიბა.

**რომელ სახელმწიფო სტრუქტურებს მიმართეთ დაფინანსების მისაღებად?**

**ნ.ხ.** ამ პერიოდში კინოცენტრი კონკურსს აცხადებდა, რომლის ფარგლებში კინონამუშევრებს აფინანსებენ. 2015 წელს პროექტი შევიტანეთ და პარალელურად გადაღებები განვაგრძეთ. რამდენიმე სცენაც გადავიღეთ, თუმცა კინოცენტრისგან  უარი მივიღეთ. 2016 წელს მათთან პროექტი კიდევ ერთხელ შევიტანეთ და მეორედაც უარით მივიღეთ. ამის შემდეგ მივმართეთ კულტურის სამინისტროს, პრეზიდენტის ფონდს, ფონდ „ქართუს“, საზოგადოებრივ მაუწყებელს, თბილისის მერიას, მცხეთისა და გორის გამგეობებს, თუმცა ყველასგან დელიკატური უარი მივიღეთ. ზოგმა პასუხი არც კი გაგვცა. მივხვდი, რომ ამ მიმართულებით დროის ხარჯვას აზრი აღარ ჰქონდა. მთელი აქცენტი ხალხზე უნდა გაგვემახვილებინა.

**რა გზა აირჩიეთ დაფინანსების მოსაძიებლად, სახელმწიფო სტრუქტურებიდან უარის მიღების შემდეგ?**

**ნ.ხ.** ფილმი დარჩა ხალხის იმედად. ექვთიმესთვის პირობა გვქონდა მიცემული და თავს უკანდახევის უფლებას ვერ მივცემდით. ერთ-ერთი თოქ-შოუს მეშვეობით ჩავწერეთ მიმართვა. ეს სახალხო პროექტია, რომელში მონაწილეობის მიღების საშუალება ქველმოქმედ შემოქმედებს ჰქონდათ.  ნებისმიერს შეეძლო საპრემიერო ჩვენების ბილეთების წინასწარ შეძენა და ამავე ბილეთებით ჩვენებაზე დასწრება. ეს თანხა კი ფილმის გადაღებებს მოხმარდებოდა.  ასევე დავუკავშირდი 70-მდე კომპანიას – როგორც წერილობით, ასევე პირადად. პირველი კომპანია, რომელიც გვერდში დაგვიდგა, სასტუმროების ქსელი „მგზავრები“ და ბატონი დავით ცერცვაძე იყო, რომელ- ▶

## „ექვთიმე ჩემთვის სამაგალითო პიროვნებაა – თავისი მისწრაფებებით, პროფესიონალიზმით... ჩემთვის იგი სიყვარულის სიმბოლოა“



**„10 წელიწადზე მეტია ლიხაურელები არ შეკრებილან ერთად და ამჯერად ისინი ექვთიმემ გააერთიანა“**



**„რა თქმა უნდა, ამ როლის შესასრულებლად მხოლოდ კარგი მსახიობის პოვნა საკმარისი არ იყო. უპირველესად, ეს უნდა ყოფილიყო კარგი ადამიანი, რომელსაც გარკვეულწილად ექვთიმეს მსგავსი ცხოვრებისეული გამოცდილება ექნებოდა. ჩვენი ფილმის თანაპროდიუსერი ლაშა ონიანია, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს. სწორედ მან შემომთავაზა რეზო ჩხიკვიშვილის კანდიდატურა. ვიცოდი, რომ მან ემიგრაციაში 20 წელიწადზე მეტი გაატარა, ასე რომ ეს ვარიანტი ძალიან მომეწონა“.**

საც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. შემდეგ შემოგვიერთდა ჩემი ფერეიდნელი მეგობარი – კახაბერ მულიანი, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ფილმის შექმნაში. მოგვიანებით „მეღვინეობა ხარება“ გამოჩნდა, რაც გიორგი იმნაძის დამსახურებაა.

**როგორ მოხდა ფილმის პრეზენტაციის დაგეგმვა პარლამენტში?**

ნ.ხ. გადაღებების მსვლელობისას გავიცანით მარიამ ჯაში – განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც ჩვენი დიდი გულშემატკივარი გახდა. მან პარლამენტში სპეციალური პრეზენტაცია გააკეთა, სადაც ფილმის რამდენიმე სცენის ჩვენებაც მოეწყო. პრეზენტაციას დეპუტატები ესწრებოდნენ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ორ მათგანს – ბატონ ისკო დასენს და თემურ ხუბულურს ფინანსური მხარდაჭერისთვის.

**საბოლოოდ, სახსრების მოძიება საკუთარი ძალებით მოგიწიათ...**

ნ.ხ. ფილმის გადაღებების პარალელურად, სხვადასხვა პროექტზე ვმუშაობდით, რაც ასევე გვეხმარებოდა ფინანსების მოზიდვაში. ამავე დროს გადავწყვიტე, რომ საინტერესო აქცია ჩამეტარებინა, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ ექნებოდა. ჩემს ნათესავს კოტე აფხაზის ქუჩაზე ძალიან ლამაზად გაფორმებული ღვინის გალერეა და ტურისტული სააგენტო ALAVERDI TOURS აქვს, სადაც ასევე ცხელ ქვიშაზე ყავას ადუღებენ. გამიჩნდა იდეა, რომ ამ ტურისტულად აქტიურ ადგილას ყავა ჩემი ხელით გამეკეთებინა და ამისთვის საქველმოქმედო აქციის სახე მიმეცა. ასეც მოხდა – 3-კვირიან აქციაზე ძალიან ბევრი ადამიანი მოვიდა. ფინჯანი ყავა 5 ლარი ღირდა, თუმცა ვისაც როგორ შეეძლო, ისე აკეთებდა შემოწირულობას. აქციიდან შემოსული თანხით ბათუმში წავედით გადაღებებზე.

**რისთვის დაგჭირდათ კიდევ ერთი მიმართვის გამოქვეყნება?**

ნ.ხ. აქციის შემდეგ, ფილმს კიდევ 40 წუთი შეემატა. ვიფიქრე, რომ კარგი იქნებოდა მიმართვის ჩაწერა, რომელსაც სოციალურ ქსელში გავაზიარებდი და ამით ხალხისა და ინვესტორების კიდევ უფრო დიდ ყურადღებას მივიპყრობდი. ჩავწერე ძალიან გულწრფელი მიმართვა, რომელსაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა სამშენებლო კომპანია „ანაგი“ და მისი დამფუძნებელი, ბატონი ზაზა გოგოტიშვილი, რომელსაც განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო. ასევე მინდა მადლობა ვუთხრა GT ჯგუფს, „შატო ზეგაანს“ და „კაპაროლს“. მოგვიანებით შემოგვიერთდა დავით მიმინოშვილი, რომელსაც ასევე დიდ მადლობას ვუხდი. ასევე შემოგვიერთდა ისრაელის სახლი. ფილმში ის ამბავიც გვაქვს მოთხრობილი, თუ როგორ გადაარჩინეს ექვთიმემ, იოსებ ელიგულაშვილმა და მიხეილ კედიამ ებრაელები. ამის შესახებ ისრაელის სახლმა გაიგო და მათაც გამოთქვეს პროექტში ჩართვის სურვილი.

უკვე ბოლოსკენ მივდიოდით, როდესაც ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანებით დაკომპლექტებული კომპანია „ქართველი“ გამოჩნდა. მომღერალი ღვინო, რომელსაც „ქართული ხმების“ ბიჭები წარმოადგენენ. სწორედ მათი დახმარებით მოვახერხეთ გადაღებების დასრულება. ეს იყო

## „30 წლის ვიყავი, როდესაც სრულიად ახალ სამყაროში ახალი ცხოვრება დავიწყე. 2007 წელს ლოს-ანჯელესში გავემგზავრე და იქ კინოსკოლაში THE LOS ANGELES FILM SCHOOL-ში ჩავირიცხე“

უდიდესი გზა. სწორედ ამ კომპანიების წარმომადგენლები აღმოჩნდნენ იმ ეროვნული თვითშეგნების მქონე გამბედავი ადამიანები, რომლებიც ამ ფილმის მნიშვნელობას აანალიზებენ.

**დიდი გამოხმაურება ჰპოვეთ რამდენიმე ქალაქში. სად ჩატარდა ფილმის მხარდასაჭერი აქციები?**

ნ.ხ. ძალიან გამიხარდა, რომ ჩვენი აქტივობა თბილისის საზღვრებს გასცდა და პირველი ასეთი მასშტაბური აქცია ბათუმში ჩატარდა. დამიკავშირდნენ ნატალი სტუარტ ფოქსი და თამარ გუდავა, რომლებმაც ძალიან პატრიოტული ვიდეო – „აჭარა ექვთიმეს გუნდშია“ გააკეთეს და 2017 წლის 2 აპრილს საქველმოქმედო აქცია გამართეს, რომელსაც ასობით ადამიანი დაესწრო. ამას მოჰყვა საქველმოქმედო აქციები სხვადასხვა ქალაქში: ქუთაისში, სამტრედიაში, ხაშურსა და თბილისში. ბოლო აკორდი კი ლიხაურელების გამოხმაურება იყო. 10 წელიწადზე მეტია ლიხაურელები არ შეკრებილან ერთად და ამჯერად ისინი ექვთიმემ გააერთიანა.

**რა ეტაპზეა ფილმი? რა დარჩა გასაკეთებელი?**

ნ.ხ. 2 წელიწადნახევრის შემდეგ, გადაღებები დავასრულეთ. ამჟამად სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს. დარჩენილია ხმის დიზაინი და ვიზუალური ეფექტები. ფერების კორექციის გაკეთებას ლოს-ანჯელესში ვაპირებთ, სადაც უმაღლესი ხარისხის პროდუქტს ქმნიან. რამდენიმე სატესტო ჩვენება უკვე გვქონდა, სადაც არაერთი აცრემლებული მაყურებელი ვიხილეთ, რომლებმაც მთელი გულით განიცადეს ექვთიმეს ცხოვრება და ისინიც გვეხმარებიან ფილმში კორექტივების შეტანაში.

**რა შეიცვლებოდა, თქვენ რომ სახელმწიფო დაფინანსება მიგეღოთ, და ზოგადად – შეიცვლებოდა თუ არა ნამუშევარი?**

ნ.ხ. რა თქმა უნდა, გამიხარდებოდა დაფინანსება თავიდანვე რომ მიგვეღო და ფილმი ერთი ამოსუნთქვით გადაგვეღო, თუმცა მოხდა ისე, როგორც საჭირო იყო. არცერთმა სახელმწიფო სტრუქტურამ არ მიიღო მონაწილეობა და საბოლოოდ ნამუშევარი ხალხმა შექმნა. ფილმიც ასე იწყება: „ქართველი ხალხი წარმოგიდგენთ“. ყველა იმ სახელმწიფო, თუ კერძო ორგანიზაციას, ვისაც შეეძლო ჩვენი დაფინანსება და უარი გვითხრა, მადლობას ვუხდი. ბევრად გავძლიერდით და ექვთიმეს გზა გავიარეთ. დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში, ფილმი ნამდვილად შეიცვლებოდა – ვერ იქნებოდა ისეთი გრძნობით აღსავსე, როგორიც დღესაა. ზუსტად ვიცოდით, რისთვის ვიბრძოდით. გადავლახეთ უამრავი წინააღმდეგობა და სულ ცოტას გადალახვაღა დაგვრჩა. გამარჯვებას კი მაშინ ვიზეიმებთ, როდესაც ფილმი ეკრანებზე გამოვა და მას მაყურებელი შეაფასებს. H


**ᲢᲔᲥᲡᲢᲘ:** ᲜᲘᲜᲣᲪᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ
**ᲤᲝᲢᲝ:** ᲐᲜᲐ ᲙᲝᲡᲢᲝᲛᲐᲠᲝᲕᲐ
**ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ:** ᲗᲐᲛᲐᲠᲐ ᲒᲝᲜᲯᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
**ᲚᲝᲙᲐᲪᲘᲐ:** THE GROVE DESIGN HOTEL









# „მე, აქტიური მოქალაქე“

**პანკისის ხეობაში ძალიან საინტერესო და პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდები გავიცანი. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია აქტიური მოქალაქის როლი იმ პრობლემების მოგვარებაში, რომლებიც მომავალ თაობას ეხება. HELLO! სწორედ ამ საკითხების მოგვარებაში აქტიურად ერთვება. როგორც ახალგაზრდებმა გვამცნეს, მათ პანკისის ხეობაში ბეჭდური მედიის შეძენის საშუალება არ აქვთ. საუკეთესო გამოსავალი ხეობაში მედიათეკის გაკეთებაა, თუმცა პირველ ეტაპზე ჟურნალ HELLO!-ს უფასოდ გავრცელებაც კარგი დასაწყისი იქნება.**




აქტიური მოქალაქეობის გზაზე ბევრი გამოწვევაა. მათ შორის ერთ-ერთი შეიძლება გომბორის გზაც იყოს. 120 მოსწავლე პანკისის რეგიონიდან თბილისისკენ, „მე **აქტიური მოქალაქე**“-ს შემაჯამებელი ღონისძიებისთვის დილის 7 საათიდან დაიძრა. წინ გრძელი და მიხვეულ-მოხვეული გზაა, თუმცა იციან, რომ დანიშნულების ადგილზე – საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საინტერესო შეხვედრები ელოდებათ.

თბილისში მათ დასახვედრად ყველაფერი მზად არის. მათ შორის სტუმრები, რომლებთან შეხვედრა თავად მოისურვეს. პროექტის პირველ ეტაპზე, როცა „**დემოკრატიის ლაბორატორია ეკვილიბრიუმთან**“ ერთად ჯოყოლოს, ბირკიანის, წინუბნის, დუისის, დუმასტურის და ომალოს სკოლებს სტუმრობდა, მოსწავლეებმა კითხვარები შეავსეს, სადაც მათი სახელები ჩაწერეს, ვისთან შეხვედრაც სურდათ ყველაზე მეტად.

ჟურნალისტი **ნანუკა ჟორჟოლიანი** გამოკითხვის ლიდერი და შეხვედრის პირველი სტუმარია. ყველაფერი აინტერესებთ – როგორ დაიწყო კარიერა, რა სირთულეები შეხვდა, რა არის მისი ჰობი, როგორ უნდა დაძლიო სიზარმაცე. დიალოგში ახალი ბიზნესის იდეაც იბადება – რესტორნის ან კაფეს გახსნა, სადაც ადგილობრივი სამზარეულო იქნება წარმოდგენილი. ნანუკა პირდება, რომ თუ რესტორანი გაიხსნება, აუცილებლად ჩავა და პოპულარიზაციაში დაეხმარება. არაჩვეულებრივი დაპირებაა დამწყები ბიზნესისთვის!

შეხვედრის მეორე სტუმარი ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი და საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი – **დავით მუჯირია**. ფეხბურთი სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა პანკისის ხეობაში. უამრავი შეკითხვა აქვთ და ყველა მათგანზე გულწრფელ და ამომწურავ პასუხს იღებენ. შეხვედრის ბო-

**ტექსტი:** ეკა ბოჯგუა. **ფოტო:** თოთო ნიკა.

ლოს, **დავით მუჯირი** პანკისის მცხოვრებლებს თბილისში ევროპის 21 წლამდე ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე ეპატიჟება.

მესამე სტუმრის ჯერიც დგება. მოთხოვნა იყო გამოცდილ იურისტთან შეხვედრა, და ასეთი – **დიმიტრი გეგენავაა**. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, **JMG AND PARTNERS** დამფუძნებელი და იურისტი, რომელიც იურისტებზე არსებულ ყველა სტერეოტიპს ამსხვრევს. **„მე აქტიური მოქალაქე“**-ს ერთ-ერთი მთავარი მიზანიც ხომ სწორედ სტერეოტიპებისგან გათავისუფლებაა. მთავარი რჩევაც, რომელსაც დიმიტრისგან იღებენ, სწორედ ესაა – იყავით თავისუფლები და დასცხეთ ეპოქას!

რჩევებს იღებენ სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილესგანაც. **„მე აქტიური მოქალაქე“** ხომ ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდმა დააფინანსა. შეხვედრიდან შეხვედრამდე იმ ორგანიზაციების გამოფენებს ათვალიერებენ, რომლებიც აქ სპეციალურად მათთვის მოვიდნენ. ჟურნალი **HELLO!**, **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი**, **NATO-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი**, **„ორბელიანი საქართველო“**, **HR HUB**, პროფესიული კოლეჯი **„ბარაკონი“**.

ღონისძიება დაგეგმილზე დიდხანს გრძელდება. ვიშლებით, მაგრამ იმ დაპირებით, რომ აუცილებლად კიდევ შევხვდებით ერთმანეთს. ჩვენ ხომ აქტიური მოქალაქეობის სურვილი და მეგობრობა გვაერთიანებს!

წინ ისევ გრძელი და მიხვეულ-მოხვეული გზაა. ისევე, როგორც ყველა მნიშვნელოვან მიზნამდე. როცა მიზანი შენი ქვეყნის აქტიური მოქალაქეობაა, რთული გზის გავლა ნამდვილად ღირს. H



**ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი გამოკითხვის ლიდერი და შეხვედრის პირველი სტუმარია. ყველაფერი აინტერესებთ — როგორ დაიწყო კარიერა, რა სირთულეები შეხვდა, რა არის მისი ჰობი, როგორ უნდა დაძლიო სიზარმაცე.**

## ნინიკო ბოჭგუა

**„დემოკრატიის ლაბორატორიის“ დამფუძნებელი**



„ამ პროექტმა უამრავი მეგობარი შეგვძინა. მოგვცა საშუალება გაგვეგო მათი სურვილების, მიზნებისა და მისწრაფებების შესახებ. მათ, ისევე როგორც ახალგაზრდების უმეტესობას, ხელმისაწვდომი განათლება, მეტი შესაძლებლობა და თავისუფლება სჭირდებათ. ჩვენ გვჯერა, რომ ერთად ყველაფერი გამოგვივა“.

## მანსორ მარგოშვილი

**პროექტის მონაწილე**



„ეს პროექტი დაგვეხმარება იმაში, რომ ჩვენი რეგიონი მთელ საქართველოს გავაცნოთ. მინდა დადებითად გვხედავდეს ყველა, ჩვენთან მეგობრობის არ ეშინოდეთ. ჩვენ, ყველა, საქართველოში ვცხოვრობთ, ერთი ქვეყნის შვილები ვართ“.

# „მე აქტიური მოქალაქე“-ს ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ სტერეოტიპებისგან გათავისუფლებაა“



## რევაზ ჯაველიძე

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე**

**„პროექტი ზუსტად ეხმიანება და პასუხობს როგორც სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის გამოწვევებს, ასევე კონკრეტულად პანკისის ახალგაზრდების საჭიროებებსა და განწყობებს. მისასალმებელია ფაქტი, რომ პროექტი ხორციელდებოდა პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროექტის ფარგლებში ბიბლიოთეკისა და „დემოკრატიის ლაბორატორიის“ წარმომადგენლები პანკისის ხეობის 6 საჯარო სკოლას ეწვივნენ და სკოლებში არსებული ბიბლიოთეკები განაახლეს. სკოლის მოსწავლეებმა მოისმინეს არაერთი საინტერესო ლექცია-სემინარი აქტიური სამოქალაქო ცხოვრებისა და დემოკრატიის შესახებ“.**

**„ეროვნულ ბიბლიოთეკაში დამხვდნენ ლაღი, გახსნილი, თავდაჯერებული ბავშვები. ეს სხვა თაობაა, პროგრესული თაობა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ამ ქვეყნის შენებაში. ამაყი ვარ, მე რომ ამირჩიეს! ეს დიდი პატივია!“**

## ნანუკა ჟორჟოლიანი

**ჟურნალისტი**



# 30 დღე

## ახალი ამბების დასტა

**WIZZAIR** ქუთაისიდან კიდევ ოთხი ახალი მიმართულებით (*რომი, პარიზი, ბარსელონა, პრაღა*) იფრენს. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წამყვანი დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია რეისებს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან ჯამში 16 მიმართულებით, ევროპის 11 ქვეყანაში შეასრულებს. რომის, პარიზის, ბარსელონასა და პრაღის მიმართულებით რეისები 2018 წლის მაისიდან დაიწყება.



**გიორგი გოგიჩაიშვილისა** და **დათო აბრამიშვილის** „8 წუთი“ მანჰეტენის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალის გამარჯვებულია. ფილმი აპოკალიპტური შინაარსისაა. მზის ჩაქრობის შემთხვევაში, დედამიწაზე სინათლის სხივის გაქრობას ზუსტად 8 წუთი სჭირდება. ფილმი SIBERFILMS-ის სადებიუტო ნამუშევარია. SIBERFILMS ახალგაზრდა რეჟისორებს, სცენარისტებსა და პროდიუსერებს აერთიანებს. ფილმში მთავარ როლებს ანი ბებია, გიორგი შარვაშიძე და სლავა ნათენაძე ასრულებენ. ფილმის სცენარი მარიამ ბექაურსა და ზაზა კოშკაძეს ეკუთვნით.



**მარია შარაპოვა** 2-წლიანი პაუზის შემდეგ WTA ტურნირის ფინალში პირველად გავიდა. მსოფლიოს პირველმა ყოფილმა ჩოგანმა, დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ, პირველად მოიპოვა WTA ტურნირის ფინალში თამაშის უფლება. ტაინძის ფინალში გასვლით, შარაპოვამ მსოფლიო რეიტინგის TOP 70-ში მოხვედრა გაინაღდა, ხოლო მთავარი პრიზის მოპოვების შემთხვევაში, TOP 60-ში მოხვდება. ფინალში შარაპოვას მეტოქე ბელარუსი სპორტსმენი საბალენკა იქნება.



**GOOGLE**-ისა და **LEVI'S**-ის თანამშრომლობის შედეგად, პირველი „ჭკვიანი ქურთუკი“ შეიქმნა, რომელსაც მობილური მოწყობილობის კონტროლი შეუძლია. ეს უნიკალური ქურთუკი ხელის ერთი შეხებით საშუალებას გვაძლევს ვუპასუხოთ ან არ ვუპასუხოთ შემოსულ ზარებს, ასევე გამოვტოვოთ ან დავაპაუზოთ მუსიკა, ჩავრთოთ ან გამოვრთოთ ტელეფონი და სხვა. ამ ტექნოლოგიის მთავარი საიდუმლო JACQUARD-ის მგრძნობიარე ბოჭკოებია, რომლებიც სამოსშია ინტეგრირებული. სწორედ მისი დახმარებით, ქურთუკი ჩვენს ბრძანებებს მარტივად აღიქვამს. ტექნიკურ ღირებულებასთან ერთად, ქურთუკს ტრადიციული დატვირთვაც აქვს – იგი მოდური და თბილია. ქურთუკის შეძენა LEVI'S-ის ოფიციალურ საიტზეა შესაძლებელი.





**ილჰამ ალიევი** და **სერჟ სარგსიანი** ჟენევაში ერთმანეთს შეხვდნენ. მათი მთავარი განსახილველი საკითხი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირება იყო. მოლაპარაკებები ეუთო-ს „მინსკის ჯგუფის“ თანათავმჯდომარეების ინიციატივით გაიმართა. ალიევისა და სარგსიანის შეხვედრა ჟენევაში მდებარე გაერო-ს შენობაში, შვეიცარიის მუდმივ წარმომადგენლობაში გაიმართა. პრეზიდენტები მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებისა და ე.წ. გამყოფ ხაზთან დაძაბულობის განმუხტვის მიზნით, დიალოგის გააქტიურებაზე შეთანხმდნენ.



**გიორგი მარგველაშვილი** იტალიის რესპუბლიკას ეწვია. პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონია 16 ოქტომბერს იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის – კვირინალეს სასახლეში გაიმართა. „საქართველო-იტალიის თანამშრომლობა წინგადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია“, – ასე შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა იტალიაში, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრები. საქართველოსა და იტალიის პრეზიდენტებმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის გაძლიერებაზე იმსჯელეს.



ფოტო: სალომე გაბრიჩიძე



# გამოფენა ბორდოში „საქართველო – მეღვინეობის აკვანი“

ქართული ღვინის 8000-წლოვანი ისტორია საფრანგეთის ქალაქ ბორდოში გაცოცხლდა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში დაცულ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ექსპონატებს, არტეფაქტების ასლებსა და ფოტომასალას ბორდოს ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრმა LA CITÉ DU VIN უმასპინძლა. წარმოდგენილი ექსპოზიცია სტუმრებს შესაძლებლობას აძლევს საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის უწყვეტ ისტორიას გაეცნოს და ამავე დროს, ქართველი და უცხოელი ღვინის მაგისტრების ხელმძღვანელობით, ქართული ღვინის დეგუსტაციებში მიიღოს მონაწილეობა. ქართულ საგამოფენო სივრცეში, 3-თვიანი გამოფენის მანძილზე, მუდმივად ტარდება სხვადასხვა ღონისძიება: პრეზენტაციები, კონფერენციები, ღვინის პროფესიული დეგუსტაცია, რომელსაც მსოფლიოში აღიარებული ღვინის ექსპერტები უძღვებიან. ასევე სპეციალურად გამოფენისადმი მიძღვნილი კულტურული და თემატური ღონისძიებები, მათ შორის ქართული ფილმების – „ქვევრი“, „ღვინის ქურდები“, „საქართველო ღვინის სამშობლო“ ჩვენებები. მსოფლიო ღვინის დედაქალაქ ბორდოში, რომელიც ყოველწლიურად 6 მილიონზე მეტ ტურისტს მასპინძლობს, ქართული ღვინის გამოფენა – „საქართველო – მეღვინეობის აკვანი“ 5 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდება.





**„ლიბერთი ბანკის“** საკონტროლო პაკეტის მფლობელები შეიცვალნენ. აქციათა 74.64 %-იანი წილი ნიდერლანდების სამეფოში დაარსებულმა კომპანია EUROPEAN FINANCIAL GROUP B.V.-მ შეიძინა. გარიგების შედეგად, ბანკის ბენეფიციარი მესაკუთრეები ირაკლი რუხაძე, ბენ მარსონი და იგორ ალექსეევი გახდნენ, რომელთაც, როგორც „ლიბერთი ბანკის“ მენეჯმენტი აცხადებს, საქართველოს საბანკო სექტორის სიღრმისეული ცოდნა აქვთ, რაც ბანკისთვის პოზიტიური შედეგის მომტანია.

**„აწარმოე საქართველოში“** პროგრამის მხარდაჭერით, ამბროლაურში ახალი საწარმო გაიხსნა. მისი შექმნისთვის კომპანია „იწისწყალმა“ სესხის სახით 800 000 ლარზე მეტი აიღო, რომლის პროცენტის თანადაფინანსებას ეკონომიკის სამინისტროს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ახორციელებს. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია როგორც შუშის, ასევე პლასტმასის ბოთლებში ჩამოისხმება და უახლოეს მომავალში როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ქვეყნების სხვადასხვა საცალო და ქსელურ სუპერმარკეტში გაიყიდება.



**ქსენია სობჩაკი** 2018 წლის რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, ამის შესახებ მან წერილი გაზეთ ВЕДОМОСТИ-ს გაუზგავნა. კრემლის განცხადებით სობჩაკი სრულიად აკმაყოფილებს რუსეთის კონსტიტუციის მოთხოვნებს საპრეზიდენტო კანდიდატებთან დაკავშირებით. კანდიდატმა თავისი გადაწყვეტილება უკვე განიხილა რუსეთის პრეზიდენტთან და მას სობჩაკის ნაბიჯი არ მოეწონა. როგორც ტელეწამყვანი ამბობს, ასევე აპირებს რუს ოპოზიციონერ ალექსეი ნავალნის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების მოხსნისთვის იბრძოლოს.



**ბათუმი** ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის, ალბანეთის ქალაქ დურესში ერთმანეთს ეცილებოდა საქართველო, ესპანეთი, პოლონეთი და თურქეთი. თურქეთმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, დარჩენილი სამეულიდან კი ევროპის ძალოსნობის ფედერაციამ საუკეთესოდ საქართველოს შავიზღვისპირა ქალაქის – ბათუმის, კანდიდატურა მიიჩნია. ბათუმი ჩემპიონატის მიმდინარეობის დროს 1000-ზე მეტ სტუმარს მიიღებს.

## ქართული სილამაზის ეტალონი

# ლიკა ქავჟარაძე

**„მართლაც საიდან მოდის ნეტავ სილამაზე? ან სად მიდის, სად იკარგება? თუ დროებით თვალს მიეფარება? ვინ იცის...“**



**სამსახიობო კარიერა 12 წლიდან, მოკლემეტრაჟიან ფილმში „შადრევანი“ მონაწილეობით დაიწყო და მალევე საკუთარი შემოსავლით, ოჯახის მთავარი მარჩენალი გახდა**

ვინ არის საქართველოში ყველაზე ლამაზი ქალი? ამ შეკითხვაზე საპასუხოდ თითქმის ყველა ერთხმად თანხმდება – ლიკა ქავჟარაძე. ქალი, რომლის ღვთიურ სილამაზეს ყველა ეთაყვანებოდა, და ქალი, რომელმაც სილამაზის ლეგენდარული ეპოქა შექმნა. ფილმმა „ნატვრის ხე“ მის კარიერაში ყველაზე დიდი როლი ითამაშა. აღიარება და დიდი წარმატება მოუტანა, თუმცა ამასთანავე მსახიობის ცხოვრებას ყველაზე დიდი დამღა დაასვა. ხშირად ცდილობდა მარიტასგან გაქცევას, თუმცა მისი აჩრდილი ყველგან თან სდევდა. ლიკა ქავჟარაძის რეალური ცხოვრებაც ფილმის სცენარივით წარიმართა და დასრულდა.

1959 წლის 26 ოქტომბერს, თბილისში დაიბადა. წლინახევრის იყო, როცა მშობლები ერთმანეთს გაშორდნენ, ამიტომ მამა თითქმის არ ახსოვდა. ფუფუნებაში არასოდეს უცხოვრია, დედას ამის საშუალება არასოდეს ჰქონდა. მარტოხელა დედა ლიკას ყველა ნაბიჯს აკონტროლებდა და შვილი მუდმივად მისი ყურადღების ქვეშ ექცეოდა. მკაცრი იყო, გადაღებებზეც ყოველთვის დაჰყვებოდა პატარა გოგონას, რომელმაც სამსახიობო კარიერა 12 წლიდან, მოკლემეტრაჟიან ფილმში „შადრევანი“ მონაწილეობით დაიწყო და მალევე საკუთარი შემოსავლით, ოჯახის მთავარი მარჩენალი გახდა. „როცა აყვავდა ნუში“, „მშვენიერი ოსტიუმი“ და კიდევ ბევრი სხვა ფილმია, სადაც ლიკამ ითამაშა, თუმცა კინოში განსახიერებული 30-მდე როლის მიუხედავად, მაყურებლის განსაკუთრებული სიყვარული და აღიარება, მას თენგიზ აბულაძის სურათში „ნატვრის ხე“ შესრულებულმა მარიტას როლმა მოუტანა. გმირმა, რომელმაც მის ცხოვრებაში ყველაზე დიდი, წარუშლელი კვალი დატოვა. საკუთარი შემოქმედების მიმართ ყოველთვის კრიტიკული იყო. როდესაც მის ნათამაშებ როლს პირველად უყურებდა, საკუთარი თავი არასოდეს მოსწონდა.

სამსახიობო კარიერაში მიღწეული წარმატების მიუხედავად, ლიკა ქავჟარაძეს თეატრალურ უნივერსიტეტში არასოდეს უსწავლია. ხუთი წლიდან მუსიკას ეუფლებოდა. ნიჭიერთა ათწლედის დასრულების შემდეგ, სწავლა კონსერვატორიაში, ფორტეპიანოს განხრით განაგრძო. 1973 წელს, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მუშაობა მუსიკის



## ლიკამ კინოში 30-მდე როლი განასახიერა, პოპულარობა კი მარიტას როლმა მოუტანა

მასწავლებლად დაიწყო. თუმანიშვილის თეატრში მუშაობის მცდელობაც ჰქონდა, თუმცა მისი თეატრში საქმიანობა წარუმატებლად დასრულდა და მსახიობი თეატრიდან მალევე წამოვიდა. ლიკამ საკუთარი შესაძლებლობები მოდების სალონ „ირიდას“ პოდიუმზეც გამოსცადა, სადაც დანარჩენ მოდელებს მისი სილამაზე იმდენად აკომპლექსებდათ, რომ მასთან ერთად ჩვენებაზე გამოსვლა უჭირდათ. იგი ასევე გატაცებული იყო მხატვრობით. 1972 წლიდან კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მიიწვიეს და სიცოცხლის ბოლომდე ჯადოსნური კინოსამყაროს ერთგული დარჩა.

ჩოგბურთზე მიმავალ 15 წლის ლიკას, სანდრო თაქთაქიშვილი – მისი მომავალი მეუღლე შეხვდა. ლიკას დედა ქალიშვილის ადრეულ ასაკში გათხოვების წინააღმდეგი იყო, თუმცა რამდენიმე წელიწადში მაინც ▶





კინოში განსახიერებული 30-მდე როლის მიუხედავად, მაყურებლის განსაკუთრებული სიყვარული და აღიარება, ლიკას თენგიზ აბულაძის სურათში „ნატვრის ხე“ შესრულებულმა მარიტას როლმა მოუტანა (ზევით). ლიკა ქავჟარაძე პირველ მეუღლესთან — სანდრო თაქთაქიშვილთან და მათ შვილთან — ლევანთანთან ერთად (მარჯვნივ). ბავშვობის მეგობრები — ლიკა ქავჟარაძე და ეკა მამალაძე (მარცხნივ).



## ლიკა 1972 წლიდან კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მიიწვიეს და სიცოცხლის ბოლომდე ჯადოსნური კინოსამყაროს ერთგული დარჩა

იქორწინეს და ვაჟი – ლევანი ეყოლათ. 1993-1994 წლებში ოჯახი აშშ-ში საცხოვრებლად გაემგზავრა, სადაც სანდრო მუშაობდა, მაგრამ მსახიობმა იქ ხან-გრძლივი პერიოდით დარჩენა ვერ შეძლო და საქართველოში დაბრუნდა. მეორედ, ლიკამ ლევან შანიძესთან იქორწინა. ოჯახი ვერა, თუმცა მასთან მეგობრული ურთიერთობა დაშორების შემდეგაც შეინარჩუნა.

„ყველაზე ცუდად ალბათ მაშინ ვიყავი, როდესაც დედა გარდაიცვალა. ხატვა დავიწყე და ვცდილობდი ამაზე გადამეტანა ყურადღება. ძალიან ცუდად გავხდი. მეგონა, ფეხებქვეშ მიწა გამომეცალა“, – ასე იხსენებს ერთ-ერთ ჩანაწერში დედის გარდაცვალების შემდეგ, საკუთარ მდგომარეობას და ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ეტაპს მსახიობი. დედა მის ცხოვრებაში ყველაზე მთავარი ფიგურა იყო. 30 წლის ასაკში გადატანილ ამ დიდ ტრაგედიას, ქვეყანაში ომი და გაჭირვება დაერთო. ხატვა სწორედ ამ პერიოდში, გაუაზრებლად დაიწყო. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, ამას რატომ და რისთვის აკეთებდა, თუმცა ერთი რამ ცხადი იყო – ხატვა ამშვიდებდა და საკუთარ თავში ძიებისკენ ახალ გზას აჩვენებდა. „ისევ შენ თვითონ უნდა იპოვო გამოსავალი. აუცილებლად უნდა დაკავდე, ის საქმე აკეთო, რაც გსიამოვნებს, და ცხოვრებას სხვაგვარად შეხედო“.

1990-იანი წლების შემდეგ ნელ-ნელა ეკრანს ჩამოშორდა. ბოლო პერიოდში რეჟისორ შოთა კალანდაძის  ფილმში გამოჩნდა. ძირითად დროს შინ ატარებდა და ხატავდა. „რე პრეფიქსი – რე ინკარნაცია“ – მსახიობის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ნახატის სახელწოდებაა. ლიკამ იგი ბუდიზმის ტრადიციებზე დაყრდნობით შექმნა. ტილოზე თავის დადებით ემოციებს და საკუთარ სულის ფორმებს გამოხატავდა. სწორედ მისი საყვარელი ტილოს სახელით დასათაურდა გამოფენა, რომელზეც სიცოცხლის ბოლო დღეებში მუშაობდა და გარდაცვალების შემდეგ მის ხსოვნას მიეძღვნა. ექსპოზიციაზე მსახიობისა და მხატვრის მიერ ბოლო წლებში შექმნილი ოცამდე ფერწერული ნამუშევარი გამოიფინა.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მარტო ცხოვრობდა. 26 ოქტომბერს 58 წლის გახდებოდა. 27 ოქტომბერს კი ლიკა ქავჟარაძის ვარსკვლავის გახსნა იგეგმებოდა, სადაც სიურპრიზად მისი შვილის – ლევანის, და შვილიშვილის – საშკას, აშშ-იდან სამშობლოში ჩამოყვანა იგეგმებოდა. ყველა დროის ყველაზე ლამაზი ქართველი მსახიობი ქალი – ლიკა ქავჟარაძე 11 ოქტომბერს, საკუთარ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს...

### ეკა მამალაძე
*მომღერალი*

**რამდენწლიანი მეგობრობა გაკავშირებდათ ქალბატონ ლიკასთან?**

ე.მ. მეექვსე კლასიდან ერთად მოვდიოდით. მუსიკალურ ათწლედში ერთად  ვსწავლობდით, ერთ მერხზე ვისხედით, ერთად ვაკეთებდით ყველაფერს. ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით.

**ბავშვობიდან გამორჩეულად ლამაზი იყო?**

ე.მ. 15 წლის გახლდათ, როცა მარიტას როლი შეასრულა. როგორიც იყო ბავშვობაში, ასეთივე ლამაზი დარჩა.

**ლიკამ საკუთარი შესაძლებლობები მოდების სალონ „ირიდას“ პოდიუმზეც გამოსცადა, სადაც დანარჩენ მოდელებს მისი სილამაზე იმდენად აკომპლექსებდათ, რომ მასთან ერთად ჩვენებაზე გამოსვლა უჭირდათ**

**„ნატვრის ხის“ გადაღების პერიოდში გქონდათ კონტაქტი?**
**ე.მ.** გადაღებებზე ყოველთვის დავყვებოდი. მეც მოვხვდი ფილმში, შემთხვევით. ერთი კადრია – წყაროსთან დგანან გოგონები, მისი მეგობრები. იქიდან ერთ-ერთი მე ვარ.

**შეცვალა მარიტას როლმა ლიკას ცხოვრება?**
**ე.მ.** ლიკა ძალიან კარგი ოჯახისშვილი იყო. ძალიან კარგი დედა, ბებია და ბიძა ჰყავდა. თვითონ პოპულარობით და ამ ყველაფრით რომ ჩავარდნილიყო ხიბლში, ისინი მაინც არ მისცემდნენ ამის უფლებას. ეს მისთვის იყო ჩვეულებრივი ამბავი. ძალიან ლამაზი გახლდათ და თენგიზ აბულაძემ გადაიღო მის ერთ-ერთ შესანიშნავ ფილმში.

**პირველი ქორწინებისას თქვენ იყავით მისი მეჯვარე?**
**ე.მ.** ძალიან უცბად მოხდა ყველაფერი. მე პატარა მყავდა ლევანიკო და კიკეთში ვისვენებდით. უცებ გადაწყვიტეს დაქორწინება. მოვიდნენ ჩემთან და მითხრეს. განსაკუთრებით ლამაზი იყო ამ დღეს.

## ზაზა კოლელიშვილი
*მსახიობი*

**ლიკა „ნატვრის ხის“ გადაღებისას გაიცანით?**
**ზ.კ.** ლიკას ბავშვობიდან ვიცნობდი, დედამისის მხრიდან. თელავშიც ჩამოდიოდნენ ხოლმე ჩემთან, მეც ჩამოვდიოდი ხოლმე თბილისში მათთან და არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა.

**როდის იყო ლიკა ყველაზე ბედნიერი?**
**ზ.კ.** პერიოდულად იყო ბედნიერი, თუმცა ჰქონდა დეპრესიის პერიოდებიც. როცა ფილმში იღებდნენ და ყურადღების ცენტრში გახლდათ, ძალიან უხაროდა და უბედნიერესად გრძნობდა თავს. თვითონ საოცრად ყურადღებიანი იყო და უნდოდა სხვებისთვის საჭირო ყოფილიყო.

**ახლო მეგობრები იყავით?**
**ზ.კ.** ჩვენ ძალიან მჭიდრო მეგობრობა გვქონდა. თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი, ხან ტელეფონით ვსაუბრობდით. ამერიკული ფილმის – „როუზების ოჯახის“ ქართული ვარიაციის გადაღება გვინდოდა. ჩემი მეუღლე წერდა სცენარს და მონახაზები ზეპირად გვქონდა დადგმული.

**ბოლოს როდის ნახეთ?**
**ზ.კ.** ბოლოს წინა დღეს ვნახე. ღამითაც დამირეკა, ორ საათზე. გამოფენისთვის ემზადებოდა და ძალიან ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მეორე დღეს რომ აღარ დამირეკა, საღამოს მის სახლთან მივედი და უკვე ლიკას გარდაცვალების ამბავი გავიგე. მისი სახლის კარი ახალი გახსნილი ჰქონდათ და ერთ-ერთი პირველი მე ვიყავი, ვინც ლიკა გარდაცვლილი ნახა. H

**ტექსტი:** ზურა მახარაშვილი
**ფოტო:** საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა








# რუსკა მაყაშვილი
## დედა გახდა

9 ოქტომბერს, შუადღის 2 საათზე პოპულარული მსახიობი და ტელეწამყვანი, **რუსკა მაყაშვილი** დედა გახდა. **ილია ნიჟარაძე** 3 კგ და 680 გრ, და 52 სმ დაიბადა. მეორე დღეს რუსკამ სოციალური ქსელის მეშვეობით ყველა თაყვანისმცემელსა და მეგობარს გულშემატკივრობისთვის მადლობა გადაუხადა.

***„დიდი მადლობა, მეგობრებო, ასეთი გულწრფელი მოლოცვებისთვის! რა დავწერო, არ ვიცი. რა ვთქვა, არ ვიცი... არცერთი სიტყვა და არცერთი ემოცია არ შეესაბამება იმ მდგომარეობას, რომელიც მე და სანდროს დაგვეთხლიშა თავზე...  რომ იცოდეთ, ილია რა ტკბილია!“***

რუსკას სიტყვებით, ის და მისი მეუღლე მთელი დღე პატარას გვერდიდან არ შორდებიან და მისი ცქერით ტკბებიან.

ორსულობის პერიოდში ტელეწამყვანი აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა. ილიას დაბადებამდე რამდენიმე ხნით ადრე კი, რუსკა გასართობი შოუ „ნიჭიერის“ ახალი სეზონის ჟიურის ტრადიციულ და ყველაზე ხალისიან წევრად მოგვევლინა.

ქართული HELLO! მთელი გულით ულოცავს რუსკას პირველი შვილიკოს დაბადებას. დარწმუნებულები ვართ, პატარა ილია არაერთხელ დაამშვენებს ჩვენს ფურცლებს.

**ფოტოები:** ლევან კახიანი.

106,9 FM
FORTUNA
ფორტუნა

20 წელი თქვენთან ერთად

WWW.FORTUNA.GE

# ლეო მესი
## მამა მესამედ გახდება



**ლეო მესი** და **ანტონელა როკუცო** მშობლები კიდევ ერთხელ გახდებიან – ეს ინფორმაცია ფეხბურთის მეუღლემ საკუთარ „ინსტაგრამზე“ დაადასტურა. „ოჯახი ხუთისგან“ – ასეთი წარწერით გამოაქვეყნა ფოტო მან, სადაც მესისა და მის ორ ვაჟს ანტონელას მუცელზე ხელები დაუწყვიათ.

ბავშვის სქესი ჯერ უცნობია. ბედნიერი წყვილის ქორწილი 2017 წლის 30 ივნისს, მშობლიურ ქალაქ როსარიოში, **HOTEL ROSARIO CITY**-ში გაიმართა. წყვილმა ფიცი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული 260 სტუმრის თანდასწრებით დადო. ცერემონიას პლანეტის რამდენიმე საუკეთესო ფეხბურთელი ესწრებოდა, ასევე მომღერალი **შაკირა**. ეს ნაბიჯი მათ ათწლიანი თანაცხოვრებისა და ორი შვილის გაჩენის შემდეგ გადადგეს. წყვილს ჰყავს ოთხი წლის ტიაგო და წლინახევრის მატეო.



**2017 წლის 30 ივნისს წყვილმა ფიცი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული 260 სტუმრის თანდასწრებით დადო**

# აგროჰაბი

აგროპროდუქტების პირველი ჰიპერმარკეტი საქართველოში



## ხელიდან ხელში

მარშალ გელოვანის გამზ. 22, თბილისი (+995) 032 244 07 07 fb.com/agrohubge agrohub

# „დინამოს“ ახალი სიცოცხლე

# მიშა ბაღათურია, ზუკა რურუა და გიორგი ხვედელიანი

## 22-წლიანი პაუზის შემდეგ, წყალბურთის კლუბი სპორტულ ასპარეზზე დაბრუნდა



თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში წყალბურთის, საზღვრებს გარეთ კი, ქართული წყალბურთის წარმატების ისტორია კლუბ „დინამოთი“ იწყება. კლუბით, რომელიც 1938 წელს დაარსდა და წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა. 1960 და 1962 წლებში „დინამომ“ ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, 1963 წელს კი, დინამოელებმა სსრკ-ის 8 უძლიერესი კლუბის საკავშირო ტურნირში გაიმარჯვეს და საერთაშორისო სარბიელზე თვალსაჩინო წარმატებებიც მოიპოვეს. თბილისის „დინამო“ არაერთხელ იყო სსრკ ჩემპიონატის პრიზიორი, ცალკეული წყალბურთელები კი – დიდი ტურნირების მედალოსნები. პირველი თაობის წარმომადგენელთა შორის გამოირჩეოდა ნოდარ გვახარია, რომელმაც პირველმა მოიპოვა ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატის მედლები, და პირველს მიენიჭა სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

მოგვიანებით, პოპულარობა მოიპოვა თბილისის საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც ქართველმა წყალბურთელებმა 5-ჯერ დაიკავეს საპრიზო ადგილი. გარდა ამისა, საქართველოს სახელით მოთამაშე თბილისის „დინამომ“ სსრკ ხალხთა სპარტაკიადებში 3-ჯერ ვერცხლის და 2-ჯერ ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა. სხვადასხვა დროს, „დინამოელთა“ გუნდში გამოირჩეოდნენ ზურაბ ჩაჩავა, ბორის მეგედი, ვლადიმერ გოიაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე, ვასილ სანაძე, ოთარ მიმინოშვილი, მურთაზ გულედანი, ვლადიმერ ისელიძე, ნოდარ კურტანიძე, დავით რურუა, გელა ტუკვაძე და სხვები.

22-წლიანი პაუზის შემდეგ, სახელოვანი კლუბი „დინამო“ ქართულ წყალბურთს დაუბრუნდა. კლუბის შექმნის იდეა საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებს – ზუკა რურუას, მიშა ბაღათურიას და გიორგი ხვედელიანს ეკუთვით. „დინამო“ სწორედ საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებითა და უცხოელი მოთამაშეებით დაკომპლექტდა. გუნდის კაპიტანი ზუკა რურუაა, რომელიც ამავდროულად ეროვნული გუნდის კაპიტანიც გახლავთ.

**თქვენ როდის და როგორ დაინტერესდით წყალბურთით?**

გიორგი თავიდან მშობლებმა ცურვაზე მეც ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით მიმიყვანეს. ორი კვირის განმავლობაში ისე მეშინოდა წყლის, რომ აუზში ვერ ჩავდიოდი. ნელ-ნელა წყალს მივეჩვიე, მაგრამ ექვსი თვე აუზის ნაპირს არ ვშორდებოდი. ბოლოს მწვრთნელი გაბრაზდა, შუა აუზში ▶



„დინამო“ საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებითა და უცხოელი მოთამაშეებით დაკომპლექტდა



## „ძალიან ბევრი ვარჯიშის, დაუღალავი შრომისა და თავდადების ხარჯზე მოვედით ამ დონემდე“ – ზუკა

გამიყვანა და ხელი გამიშვა… მეც, სხვა გზა რომ აღარ მქონდა, გამოვცურე. უკვე აქედან მომეცა ძალა და გამიჩნდა სპორტული ჟინი. რვა წლის ასაკიდან წყალბურთელი ვარ.

**ზუკა** ბავშვობაში იოლად ვცივდებოდი და ხშირად ვავადმყოფობდი. სწორედ ამიტომ, ორგანიზმის გასაკაჟებლად და იმუნიტეტის გასაძლიერებლად, მშობლებმა ექვსი წლის ასაკში ცურვაზე შემიყვანეს, სადაც ათ წლამდე დავდიოდი. ბავშვობიდან ასევე ძალიან მომწონდა და მიყვარდა ფეხბურთი, როგორც სპორტის სახეობა. მამა წყალბურთელი იყო, ამიტომ ცურვა და ბურთი ერთმანეთს დავუკავშირე, გადავედი წყალბურთზე და დავიწყე აქტიური ვარჯიში. ცამეტი წლის ასაკში ახალგაზრდულ ნაკრებში მოვხვდი, სადაც ასაკით ჩემზე დიდებთან ერთად მიწევდა ვარჯიში. ჩვიდმეტი წლისა უკვე მოსკოვში წავედი და ორი წელი იქ ვთამაშობდი. საბოლოოდ თბილისში დავბრუნდი და 2009 წლიდან, საქართველოს ეროვნული ნაკრების შექმნის დღიდან, აქ ვთამაშობ.

**შრომატევადი სპორტია?**

**მიშა** მამა წყალბურთელია და მან ყველაზე კარგად იცის, რამხელა შრომას და ენერგიას მოითხოვს სპორტის ეს სახეობა, თუმცა ყველაფრის მიუხედავად, 4 წლის ასაკში შემიყვანეს წყალბურთზე. თუ გადაწყვეტ, რომ წყალბურთელი გახდე, თავი უნდა მიუძღვნა მას. ორი დღეც რომ არ ივარჯიშო, ძალიან ადვილად კარგავ ფორმას. მე ჩემი ცხოვრების ნახევარზე მეტი წყალბურთს დავუთმე.

**ზუკა** მოსამზადებელ პერიოდში, დღეში ორჯერ, დაახლოებით 4-5 საათი ვარჯიში გვიწევს. ეს ითვალისწინებს ფიზიკურ მომზადებას როგორც დარბაზში, ასევე აუზში.

**როგორ და რატომ გაგიჩნდათ კლუბის შექმნის იდეა?**

**მიშა** 2011 წელს ჩამოვაყალიბეთ „დინამოს აკადემია“, სადაც ჩვენ და ნაკრების რამდენიმე წევრი, სხვადასხვა აუზზე ბავშვებს ვავარჯიშებდით, თუმცა იმდენად მწირი იყო კლუბების რაოდენობა, რომ როდესაც ბავშვები იზრდებოდნენ, თუ ნაკრებში ვერ მოხვდებოდნენ, უწევდათ წყალბურთისთვის თავის განებება და იკარგებოდნენ, იმიტომ, რომ სხვა პერსპექტივა არ ჰქონდათ. სწორედ აქედან გაგვიჩნდა იდეა, შეგვექმნა დიდებისთვის ახალი კლუბი.

**ზუკა** დღეს საქართველოში პროფესიული წყალბურთის კლუბების ნაკლებობაა. სულ ორი კლუბი არსებობდა – „ლოკომოტივი“, რომელშიც მე ვთამაშობდი, და თბილისის „თბილისი“, რომელშიც მიშა და გიორგი თამაშობდნენ. სწორედ ამიტომ გაგვიჩნდა იდეა, რომ საქართველოს, „დინამოს“ სახით, ახალი პროფესიული კლუბი შემატებოდა.

**რატომ მაინცდამაინც „დინამო“?**

**გიორგი** „დინამოს“ მნიშვნელობა საქართვე-



## „წყალბურთი ჩემთვის ყველაფერია. ამ სპორტმა მასწავლა მიზანდასახულობა, გვერდში დგომა, მებრძოლობა, და ის, რომ არასოდეს არ უნდა დავნებდე“ – მიშა

ლოს წყალბურთის ისტორიაში ძალიან დიდ როლს თამაშობს. ყველას, ვისაც წყალბურთთან ოდესმე შეხება ჰქონია, ოცნებად ჰქონდა, რომ „დინამოში“ მოხვედრილიყო, ან „დინამოელებთან“ ერთად ევარჯიშა. ჩვენს წინა თაობებს, ვეტერან წყალბურთელებს, ყველას რაღაც განსაკუთრებული მოგონება აკავშირებს „დინამოსთან“, ამიტომ ჩვენთვის ძალიან დიდი რისკი და პასუხისმგებლობაა, რომ ღირსეულად გავაგრძელოთ დინამოელის სტატუსი.

**მიშა** მამაჩემი და ჩემი ორივე ნათლია „დინამოელები“ იყვნენ. ასევე ჩვენი მწვრთნელები. ეს ერთი დიდი ოჯახია. სწორედ ამიტომ, მაქსიმალური სიფრთხილითა და მონდომებით მოვკიდეთ ხელი ამ საქმეს.

**რა არის კლუბის მთავარი მიზანი?**

**ზუკა** ჩვენი მთავარი მიზანია წყალბურთი საქართველოში სპორტის ერთ-ერთი მოწინავე სახეობა გახდეს. შევქმნათ „მასიური სპორტის“ პრეცედენტი, როდესაც მთელი ქვეყნის მასშტაბით მცხოვრები ბავშვები და მოზარდები, სპორტის ამ სახეობას ცხოვრების წესად დანერგავენ.

**რა არის მთავარი სირთულე?**

**გიორგი** მთავარი სირთულეა გაუმართავი ინფრასტრუქტურა და საცურაო აუზების ნაკლებობა. ქვეყანაში მხოლოდ რამდენიმე პროფესიული აუზია – ორი თბილისში და ერთი ბათუმში, რომელიც ამ ეტაპზე უფრო კომერციული მიზნებითაა დატვირთული.

**როგორც წესი, ყველას ძალიან აინტერესებს სპორტსმენების პირადი ცხოვრება. რა ხდება თქვენს ცხოვრებაში სპორტის მიღმა?**

**ზუკა** მე ექვსი წლის გოგონა მყავს, გიორგის კი ხუთი წლის ბიჭი. მიშა დასაოჯახებელია, თუმცა შეყვარებული ჰყავს.



# „რვა წლიდან წყალბურთს ვთამაშობ, ამ სპორტის გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია“ – გიორგი

**როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

**ᲖᲣᲠᲐ** მაყურებელთა მეტი ჩართულობისთვის და წყალბურთის სანახაობით მეტი სიამოვნების მისაღებად, ჩვენი ინიციატივით, უკვე შეიცვალა საქართველოს ჩემპიონატის ჩატარების სტრუქტურა. ჩემპიონატი ტარდება რვა თვის განმავლობაში, რაც ტურების მრავალფეროვნებას და მაყურებლის აქტიურ ჩართულობას განსაზღვრავს.

**ᲛᲘᲨᲐ** ვგეგმავთ მულტიფუნქციური საწყლოსნო კომპლექსის აშენებას, რომელიც იქნება „დინამოს“ ბაზა. უკვე გვყავს ბიჭების ჯგუფები 4 წლის ასაკიდან. ცოტა ხანში ვგეგმავთ გოგონების ჯგუფების აყვანასაც.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ** იმის გათვალისწინებით, რომ საწყლოსნო სპორტის სახეობები საკმაოდ ძვირადღირებულია, ვაპირებთ სხვადასხვა სოციალური პროგრამის განხორციელებას, რათა სპორტის ეს სახეობები ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს, მეტი ადამიანი დაინტერესდეს სპორტით და ცხოვრების ჯანსაღი წესით. H

---

**ტექსტი**: ᲖᲣᲠᲐ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
**ფოტო:** ᲚᲔᲙᲝ ᲭᲧᲝᲜᲘᲐ
**სტილი**: ᲗᲔᲝᲜᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
**ჩაცმულობა**: SARAR
**ლოკაცია**: AMBASSADORI TBILISI



# KING DAVID

## LIMITED EDITION

## მუკუზანის საფერავი

ქართული პრემიალური ღვინო




ესპანელი მხატვრის
**აუგუსტო ფერერ დალმაუს**
ტილოზე აღბეჭდილი ქართული ისტორია
**„დიდგორის რაინდი“**

# კინოინდუსტრიის ყველაზე გავლენიანი მამაკაცი
# ჰარვი ვაინშტეინი
## ჰოლივუდის ქალები კინოპროდიუსერს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ





ის HOLLYWOOD-ის ყველაზე გავლენიანი მამაკაცი იყო – ლამაზი და ბედნიერი ოჯახით, მილიონობით დოლარით ბანკის ანგარიშზე და არაჩვეულებრივი თვისებით – ყოველი ფილმი, რომელსაც ჰარვი ვაინშტეინი ხელს მოკიდებდა, მინიმუმ „ოსკარზე“ წარდგენით იყო გარანტირებული. მისი ცხოვრება ნამდვილ ამერიკულ ოცნებას ჰგავდა.

და აი, მას „მოწმენდილ ცაზე“ საკუთარი ზღაპრული სამყარო თავზე ენგრევა, თითქოს მთელი ჰოლივუდი მის წინააღმდეგ ამხედრდა. ერთ დღესაც ჰოლივუდის ქალბატონები ალაპარაკდნენ და მისი მხრიდან სექსუალური ძალადობის შესახებ განცხადებები გააკეთეს. ერთ განცხადებას მეორე მოჰყვა და კინოსამყაროს ერთ-ერთი გავლენიანი პიროვნების ქმედებების გამოძიება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში დაიწყეს. ვარსკვლავთა ნაწილი მას გაუპატიურებაზე დებს ბრალს, სხვა კი, მხოლოდ მცდელობაზე. მათ შორის არიან ისეთი მსახიობები, როგორებიც გახლავთ ანჯელინა ჯოლი, გვინეტ პელტროუ, კეიტ ბეკინსეილი და ტოპმოდელი კარა დელევინი.

„ახალგაზრდობაში ძალიან ცუდი გამოცდილება მქონდა ჰარვისთან, რის შემდეგაც გადავწყვიტე არასოდეს მემუშავა მასთან და ყველას ვაფრთხილებდი, თავი შორს დაეჭირათ ამ ადამიანისგან“, – აღნიშნავს THE NEW YORK TIMES-სთვის გაგზავნილ აღიარებით წერილში ანჯელინა ჯოლი.

ერთ აღიარებას მომდევნო მოჰყვა, ხოლო ჯაჭვური რეაქციის შედეგად ყოფილ პროდიუსერს BAFTA-მ წევრობა შეუწყვიტა. კინემატოგრაფიული ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემია ჯერ კიდევ მსჯელობს, რა სახის მკაცრი სასჯელი წაუყენოს მას, ხოლო თავად ვაინშტეინის მიერ დაფუძნებულმა კომპანიამ, ჰარვის უფლებამოსილებანი შეუზღუდა და სამსახურიდან გაათავისუფლა. საუბარია იმაზეც კი, რომ მას ბრიტანული იმპერიის ორდენი ჩამოერთვას.

ჰარვი ვაინშტეინს წამიერად ოჯახიც დაენგრა. ჯორჯინა ჩაპმანმა – მოდის სახლ MARCHESA-ს დამფუძნებელმა, რომელსაც ჰარვისთან 10-წლიანი თანაცხოვრება აკავშირებს, საჯაროდ განაცხადა: „გული მტკივა ყველა იმ ქალის მაგივრად, ვისაც მისი უღირსი საქციელი შეეხო. მე ქმარს ვცილდები“.



მირა სორვინო ჰოლივუდის იმ მსახიობებს განეკუთვნება, რომლებსაც ჰარვისთან პრეტენზიები აქვთ.

## „იგი ზემოქმედების, შეურაცხყოფისა და დაშინების სისტემის განსახიერებაა“, – ემა ტომპსონი

მსახიობმა კეიტ ბეკინსეილმა INSTAGRAM-ზე ვრცელი პოსტი გააზიარა, რომელიც დეტალებში ასახავს თავის შემაშფოთებელ გამოცდილებას ჰარვისთან: „ჰარვი ვაინშტეინმა სასტუმრო SAVOY HOTEL-ში დამიბარა შეხვედრაზე. მაშინ 17 წლის ვიყავი. მითხრეს, რომ მის ნომერში ავსულიყავი. მან სააბაზანოს კარი გააღო. მე ძალიან გულუბრყვილო და ახალგაზრდა ვიყავი და წარმოდგენაც კი არ შემეძლო, ეს არამიმზიდველი და ჩემზე გაცილებით უფროსი მამაკაცი თუ იფიქრებდა, რომ რაიმეთი მიმიზიდავდა. მე მოვიმიზეზე, რომ დილით ადრე სკოლაში ვიყავი წასასვლელი, უარი ვუთხარი ალკოჰოლურ სასმელზე და იგი მალევე დავტოვე. ჩემდა საბედნიეროდ, იმ საღამოს უვნებელი გადავრჩი. რამდენიმე წლის შემდეგ ჰარვიმ მკითხა, იყო თუ არა ▶





ჯორჯინა ჩაპმანმა – მოდის სახლ Marchesa-ს დამფუძნებელმა, რომელსაც ჰარვისთან 10-წლიანი თანაცხოვრება აკავშირებს, საჯაროდ განაცხადა: „გული მტკივა ყველა იმ ქალის მაგივრად, ვისაც მისი უღირსი საქციელი შეეხო. მე ქმარს ვცილდები“.







**„ეს საქციელი მიუტევებელია! ეს არის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება! თითოეული მამაცი ხმა, რომელსაც მოისმენს და გაახმოვანებს ხალხის სადარაჯოზე მყოფი მედია, საბოლოოდ აუცილებლად შეცვლის თამაშის წესებს“, – ᲛᲔᲠᲘᲚ ᲡᲢᲠᲘᲞᲘ**

ჩვენს შორის რამე. მას ისიც კი არ ახსოვდა, თავს დამესხა თუ არა. მე ყოველთვის ვიცავდი გარკვეულ საზღვრებს მასთან მიმართებაში და ვახერხებდი მომეცილებინა, რის გამოც არაერთხელ დაუყვირია და დამმუქრებია კიდეც. ჰარვი ხალხშიც კი ხუმრობდა: „კეიტს უყვარს ჩემთვის არას თქმა“.

ცხოვრებაში ბევრ რამეზე მითქვამს უარი, ჩემი უკომპრომისობიდან გამომდინარე, რამაც რა თქმა უნდა ჩემს კარიერას ზიანი მიაყენა. მსგავს სიტუაციაში, ერთადერთი, ვისგანაც მხარდაჭერა მქონდა, ჩემი ოჯახი იყო. მინდა მივესალმო ქალებს, რომლებიც წინ მიდიან, არ ჩერდებიან და ახალ პარადიგმას ქმნიან. ძალა ერთობაშია და ჩვენ შესაძლოა სერიოზული ცვლილებები მოვახდინოთ. მე მყავდა მეგობარი, რომელმაც ახალგაზრდა მსახიობი გააფრთხილა – მას ვახშამი ჰქონდა ჰარვისთან. მომდევნო დღეს მას დაურეკეს და უთხრეს, რომ იგი MIRAMAX-ის ვერცერთ ფილმში ვეღარ დაკავდებოდა. იმ გოგონას ვახშმის შემდეგ სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა ჰარვისთან და გაფრთხილების შესახებაც უამბო. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ ახალგაზრდა გოგონები მიხვდნენ – ისინი სექსუალური ობიექტები არ არიან! ჰარვი სისტემის ემბლემაა, რომელიც დაავადებულია და ჩვენ უნდა შევებრძოლოთ მას!“



**ᲢᲔᲥᲡᲢᲘ:** LAURA BENJAMIN
**ᲤᲝᲢᲝ:** GETTY IMAGES

საკონსულტაციო კომპანია

ETERE PR AGENCY

- ბრენდინგი
- მედიადაგეგმარება
- საკომუნიკაციო კამპანიები
- სოციალური მედიის მარკეტინგი
- პროდუქციის რეკლამირება
- ღონისძიებების დაგეგმვა

fb.com/EtereAgency
+ 995 0322 98 03 98

# მარიამ გრიგოლია და ნიკოლოზ გამეზარდაშვილი

## გრანდიოზული ქორწილის დაუვიწყარი დეტალები

**„საქორწინო ცერემონიალამდე, სვეტიცხოვლის ტაძარში ჯვარი დავიწერეთ. ქორწილში დაახლოებით 500 სტუმარი გვყავდა დაპატიჟებული"**





ერთმანეთს პირველად მეგობრის სახლში, შემთხვევით შეხვდნენ. მეორე შეხვედრისას კი, უკვე მიხვდნენ, რომ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. სიყვარულში პირველად ნიკოლოზი გამოუტყდა. მარიამმა ამ დროს უკვე დაზუსტებით იცოდა, რომ ეს იყო ის გრძნობა, რომელსაც ელოდა, და ის მამაკაცი, რომელთან ერთადაც ცხოვრება სურდა. მოკლედ, მისი ცხოვრების მთავარი სიყვარული იპოვა. ურთიერთობა ძალიან სწრაფად, სპონტანურად წარიმართა. ერთად ყოფნაც უცბად გადაწყვიტეს და ოთხი წლის თავზე მათი სიყვარულის ისტორია გრანდიოზული ქორწილით დაგვირგვინდა. პატარძალი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული ჟურნალისტის, ინგა გრიგოლიას შვილია. სიძე კი, სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსის – ზურაბ გამეზარდაშვილის ვაჟია.

**გახსოვთ, როდის და როგორ გთხოვათ ხელი ნიკოლოზმა?**

**მ.გ.** ნიკა აშშ-ში იყო სასწავლებლად წასული. კურსების წარმატებით დასრულების შემდეგ მომწერა – აქ, შენგან შორს ყოფნისას, მივხვდი, რომ უშენოდ ცხოვრება არ შემიძლიაო, და ჩამოფრინდა თუ არა, იმ დღესვე ცოლობა მთხოვა. გადაწყვეტილების მიღებისას ბევრი არ მიფიქრია – ძალიან მალე დავთანხმდი.

**როგორ გააცანით ინგას სასიძო?**

**მ.გ.** ინგა ჩემთვის დედაცაა და საუკეთესო მეგობარიც, ამიტომ მისთვის არაფერი დამიმალავს. როგორც კი მივხვდი, რომ ნიკა სიგიჟემდე ▶



„ANOUKI-ს ეკუთვნის ჩემი საქორწილო კაბის დიზაინი. მეორე კაბა ასევე ძალიან ნიჭიერ დიზაინერ თაკო დვალიშვილთან შევიკერე“



„საქორწინო სამზადისში ორივე ოჯახის წევრები ბოლომდე იყვნენ ჩართული. ძალიან უნდოდათ, რომ საკუთარი შვილებისთვის გრანდიოზული და დასამახსოვრებელი ქორწილი გადაეხადათ, რომლის ორგანიზატორი თაკო დოლაბერიძე იყო, ამიტომ მშვიდად ვიყავით – ვიცოდით, რომ ყველაფერს იდეალურად გააკეთებდა“.

**„ძალიან გვიყვარს ერთმანეთისთვის სიურპრიზების მოწყობა. ნიკა საოცრად რომანტიკული ადამიანია. მაგარი ბიჭი მყავს“**





მიყვარდა და ურთიერთობა დავიწყეთ, ინგასაც გავაცანი. ინგა ძალიან მეგობრული ადამიანია და ერთმანეთს მალევე დაუმეგობრდნენ.

**ინგამ მარტივად მოირგო სიდედრის ამპლუა?**

მ.ბ. სიდედრის ამპლუა მალევე მოირგო. არაჩვეულებრივად შეხვდა სიძეს. ნიკა ძალიან უყვარს.

**ქორწილს უსწრებდა ე.წ. BRIDAL SHOWER. სად და როგორ აღნიშნეთ?**

მ.ბ. ძალიან მიყვარს კარაოკებარებში გართობა. ჩემმა უახლოესმა მეგობრებმა სიურპრიზი მომიწყვეს, შეიკრიბნენ ერთ-ერთ კარაოკეში და დამახვედრეს საოცარი გაფორმება, მაისურები წარწერებით და დედოფლის გვირგვინი. ძალიან ლამაზი და მხიარული საღამო გამოგვივიდა.

**როგორ დაგეგმეთ საქორწინო ცერემონიალი?**

მ.ბ. ძალიან სწრაფად დავგეგმეთ ყველაფერი. საქორწინო სამზადისში ორივე ოჯახის წევრები ბო-





„საქორწინო მზადებისას ინგა ყველა დეტალში თავიდან ბოლომდე იყო ჩართული - ტორტის შერჩევიდან დაწყებული, თაიგულით დამთავრებული“

ლომდე იყვნენ ჩართული. ძალიან უნდოდათ, რომ საკუთარი შვილებისთვის გრანდიოზული და დასამახსოვრებელი ქორწილი გადაეხადათ.

**როგორ შეარჩიეთ საქორწილო კაბა?**

მ.გ. გადავწყვიტე, კაბა საქართველოში შემეკერა, რადგან ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი და ნიჭიერი დიზაინერები გვყავს. მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესოს - ANOUKI-ს ეკუთვნის ჩემი საქორწილო კაბის დიზაინი. რამდენიმე ესკიზი გვქონდა, თუმცა საბოლოოდ ანუკიმ ისეთი კაბა შემომთავაზა, როგორზეც ყოველთვის ვოცნებობდი. მეორე კაბა ასევე ძალიან ნიჭიერ დიზაინერ თაკო დვალიშვილთან შევიკერე. თმაზე სილამაზის ცენტრ „ნატალის“ სტილისტმა, ხოლო მაკიაჟზე - ნინო ალავერდაშვილმა იზრუნეს.

**საქორწინო პროგრამა წინასწარ გქონდათ შედგენილი?**

მ.გ. საქორწინო ცერემონიალამდე, სვეტიცხოვლის ტაძარში ჯვარი დავიწერეთ. ქორწილში დაახლოებით 500 სტუმარი გვყავდა დაპატიჟებული. მათ შორის ბევრი ცნობილი სახე იყო. ვინც ძალიან მინდოდა ჩემს ქორწილში ყოფილიყო, ყველანი მოვიდნენ. ჩემი მეგობრები, „ქუჩის ბიჭები“, მერაბ სეფაშვილი, „ფორტე“, სალომე ბაკურაძე, თიკა მახალდიანი და სხვ. სცენაზე ინგაც კი ამღერდა.

**საქორწილო ცეკვის შესასრულებლად საგანგებოდ ემზადებოდით?**

მ.გ. მინდოდა საქორწილო ცეკვად ვალსი შეგვესრულებინა. რეზიკო რობაქიძე დაგვეხმარა – საღამოობით მასთან დავდიოდით და სამი გაკვეთილის შემდეგ არასტანდარტული ვალსი დავდგით.

**სად გაატარეთ თაფლობისთვე?**

მ.გ. გვქონდა რამდენიმე ვარიანტი, სად უნდა წავსულიყავით. საბოლოოდ, საფრანგეთზე შევჩერდით. ჩემთვის პარიზი მართლაც სიყვარულის ქალაქია. ეიფელის კოშკზე ასვლა და იქ საყვარელ ადამიანთან ერთად შუშხუნა ღვინის დალევა განსაკუთრებით რომანტიკულია. H

---

**ტექსტი:** ზურა მახარაშვილი
**ფოტო:** გიორგი აბდალაძე

## „გვერდით მყავს ისეთი ადამიანი, როგორზეც ყოველთვის ვოცნებობდი“



„მინდოდა საქორწილო ცეკვად ვალსი შეგვესრულებინა. რეზიკო რობაქიძე დაგვეხმარა — საღამოობით მასთან დავდიოდით და სამი გაკვეთილის შემდეგ არასტანდარტული ვალსი დავდგით“.





# თვის დღიური











## WINE O’CLOCK

შემოდგომა ქართული ღვინის დროა, ჟურნალი HELLO! კი ამ უკანასკნელის პოპულარიზაციას უკვე დიდი ხანია ეწევა. ასე რომ, ოქროსფერი სეზონი ჩვენთვის კიდევ ერთი მეგობრული ღონისძიების გარეშე ვერ ჩაივლიდა. ლოკაციად ქალაქის ისტორიულ უბანში მდებარე საკმაოდ საინტერესო დაწესებულება **WINELAB** შევარჩიეთ, რომელიც თავისი ვინტაჟური სტილითა და ჭეშმარიტად თბილისური ატმოსფეროთი, ყველა სტუმარს აჯადოებს. ღვინის მოყვარულები და პრიალა ჟურნალის მეგობრები **WINE O’CLOCK**-ზე შევკრიბეთ, სადაც ქართულ ბაზარზე არსებული ღვინის კომპანიების ყველაზე გამორჩეული პროდუქცია იყო წარმოდგენილი.






















სტუმრების მისაღებად ტრადიციული ქართული ვიზუალისა და ევროპული განწყობის შერწყმა ყოველთვის იდეალური გადაწყვეტილებაა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარი ქართული ღვინის წარმოჩენას ეხება. ღონისძიებაზე მოსულ სტუმრებს სასიამოვნო მუსიკის ფონზე კომპანია **„იბერიკას“**, **„ქართველის“**, **„წინანდალის“**, **„თელიანი ველისა“** და **„თავანკარის“** უგემრიელესი პროდუქციის დაგემოვნების საშუალება მიეცათ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, HELLO! ქართული ღვინის პოპულარიზაციას აქტიურად ეწევა. შემოდგომის მიწურულს, მკითხველს არომატული ღვინის ინსპირაციით შექმნილი ნომრით ვემშვიდობებით, ღვინის მოყვარულებს კი უახლოესი თვეების განმავლობაში კიდევ არაერთ საინტერესო პროექტს ვპირდებით.















# თვის დღიური












## GEOMETRIX-ის პირველი საერთაშორისო ფორუმი




სილამაზის მედიცინა ის სფეროა, რომელმაც ფანტასტი მწერლების წინასწარმეტყველებებს სიცხადე შესძინა და შეუძლებელი შესაძლებელად აქცია. გასულ წელს ქართულ ბაზარს კიდევ ერთი ესთეტიკური კლინიკა – **GENESIS** შეუერთდა, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ თბილისში პრეპარატ **GEOMETRIX**-ის  პირველ საერთაშორისო ფორუმს „**ტოსკანი ჰოლდინგთან**“ ერთად უმასპინძლა.

მათი მოწვევით, თბილისში მოსკოვის წამყვანი კლინიკების კოსმეტოლოგ-დერმატოლოგები ჩამოვიდნენ და 2-დღიანი სემინარი ჩაატარეს. როგორ უნდა მოხდეს სახის ოვალის მოდელირება-ლიფტინგი 1 საათში – ეს გახლდათ











ფორუმის ძირითადი თემა. ღონისძიების ფარგლებში, **GENESIS**-ის კლინიკას საერთაშორისო მასშტაბის სპიკერები: **მარია შირშაკოვა**, **იულია ჟუჩენკოვა** და **ტარას ბაჟანოვი** ეწვივნენ და სემინარები საქართველოს მასშტაბით მოქმედი ექიმი-კოსმეტოლოგებისთვის ზემოხსენებულ თემაზე ჩაატარეს.

ფორუმის გამართვის მთავარი მიზეზი კი ესპანური ბრენდი **GEOMETRIX**-ი გახლდათ, რომელიც მსოფლიო მასშტაბით უკვე აპრობირებულია წამყვანი კლინიკების მიერ და ამიერიდან ქართულ ბაზარზეც გაიყიდება. კლინიკა **GENESIS**-ის მიმართულება ინოვაციური პრეპარატების დანერგვა და ესთეტიკური მედიცინის მიღწევების მაქსიმალურად გამოყენებაა. ჩვენი სილამაზე ხომ ფასდაუდებელი და რუდუნებით მოსავლელია! 21-ე საუკუნე კი ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა.





















# რესტორანმა „რეზიდენცია“ გალავახშამს უმასპინძლა

იმ ადგილას, სადაც ძველ დროში ქართველი არისტოკრატები იკრიბებოდნენ და ერთმანეთს საინტერესო ამბებს უზიარებდნენ, დღეს დროის გატარება ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია. მზიანი სეზონის მიწურულს, რესტორანმა „**რეზიდენცია**“ გალავახშამს უმასპინძლა, თუმცა ამ უკანასკნელის ოფიციალური გახსნა გაზაფხულზე გაიმართება. ლავრენტი ბერიას მიერ 1934 წელს აშენებულ შენობას, ისტორიულ დატვირთვასთან ერთად, არაჩვეულებრივი, იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ინტერიერი აქვს, რომელიც რესტორანში გატარებულ დროს უფრო სასიამოვნო ატმოსფეროს სძენს.

გალავახშამს ამჯერად სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ. ქართული ღვინის დეგუსტაციის შემდეგ, დამსწრე საზოგადოებამ რესტორნის მენიუდან მთავარი კერძები დააგემოვნა.

მოგეხსენებათ, შენობა წლების განმავლობაში სამთავრობო რეზიდენციის სახელით ფუნქციონირებდა. ცნობილ შენობაში არაერთი მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკური სტუმარი მიუღიათ. კრწანისის რეზიდენციას თავის დროზე რომის პაპიც კი სტუმრობდა. ამიერიდან ულამაზესი ხედებითა და კომბინირებული სამზარეულოთი სიამოვნების მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.










TAVANKARI
TAVANKARI
MUKUZANI
Unfiltered dry red
მუკუზანი
0,75 L
Product of Georgia
ALC 12,5%
2015
ახალი სახელი ქართული ღვინის ისტორიაში

# საშემოდგომო საჩუქარი HELLO!-სგან

## პირველი 3 გამომწერი

May
Georgian Product



საჩუქრად მიიღებს ჩანთას MAY-სგან

# გამოიწერეთ

## ფასდაკლებით

HELLO!
GEORGIA

**38₾** *ერთი წლით*

DHL

ადგილზე მიტანის უფასო სერვისით
HELLO!
თქვენს ოჯახებს ყოველთვე ესტუმრება!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: **+995 322 98 03 98**
ან მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: **info@hellomagazine.ge**

**ფასდაკლებები და პრივილეგიები ეხებათ მხოლოდ 6 და 12 თვიან გამომწერებს.** შემოთავაზება მორგებულია ბეჭდურ ჟურნალზე და არ ვრცელდება HELLO!-ს ელექტრონულ ვერსიაზე. გამომწერები მუდმივად მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას ჟურნალში წარმოდგენილი ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ. **დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**



ჯოან სმოლსის საშემოდგომო სტილი, სექსუალურთან ერთად, საკმაოდ კომფორტულიც გახლავთ.

ტექსტი: თათია ღლაშვილი. ფოტო: GETTY IMAGES.




SHOPPING

# GET THE LOOK!

**ჯოან სმოლსმა** შემოდგომის ცვალებადი ამინდებისთვის იდეალურ LOOK-ს მიაგნო. მოდელმა მუხლებთან გამოხეულ ჯინსის შარვალთან ტოპი, ტყავის ქურთული და ბეწვის ჟილეტი მოირგო, ამ ყველაფერს კი თასმებიანი უხეში ფეხსაცმელი შეუხამა. ჯოანის სტილი, სეზონისთვის შესაბამისთან ერთად, ზომიერად სექსუალური და კომფორტულიცაა. მით უმეტეს, რომ ბრიტანელმა მოდელმა უარი თქვა მაკიაჟზე და მხოლოდ მუქ შავ მზის სათვალეს დასჯერდა.

**1.** სათვალე **VERSACE** 550₾ **johnlewis.com**; **2.** ტოპი **TOPSHOP** 12₾; **3.** ქურთუკი **MUUBAA** 500₾ **theoutnet.com**; **4.** ბეწვის ჟილეტი **JAYLEY** 600₾ **jayley.com**; **5.** ჯინსი **TOPSHOP** 130₾; **6.** კლატჩი **STRADIVARIUS** 45₾; **7.** შუზი **BERSHKA** 119₾





**ლიდერი ესპანეთში** დიზაინის, მშენებლობის, დეკორაციის მიმართულებით – **ახლა უკვე კავკასიაშია**

**grupolasrosasinternacional.com** **+995 577 122 208**






Grupo Las Rosas
INTERNACIONAL

FASHION

# BLACK & BLUE

## შავი სამოსის უნიკალურობა ის გახლავთ, რომ მისი მორგება ნებისმიერ სხვა ტონალობასთან ერთად შეგიძლიათ

სწორედ ამიტომ, ყოველ სეზონზე შავთან კომბინაციაში სხვადასხვა ფერის ტარებაა მოდური. ამ შემოდგომაზე, დიზაინერთა ფავორიტ ფერთა გამა შავსა და ლურჯს მოიცავს. იმის გათვალისწინებით, რომ ქართველი ქალბატონები უმეტესად მუქი ფერის სამოსს ატარებენ, BLACK & BLUE-ს მორგება განსაკუთრებით დახვეწილად სწორედ მათ გამოუვათ. ინსპირაციისთვის გირჩევთ გადახედოთ **DAVID KOMA**-ს ეროვნულ მოტივებზე შექმნილ სამოსს, **GIORGIO ARMANI**-ს საქმიანი ქალის გარდერობს და **SONIA RYKIEL**-ის ულამაზესი ლაბადების კოლექციას, რომელიც ასევე ლურჯსა და შავ ფერებშია გადაწყვეტილი.




**CAROLEE**
ყვავილის ფორმის საყურე თვლებით
65₾
**bloomingdales.com**



**ZARA**
ხავერდის ფეხსაცმელი ბაფთით
90₾



**DSQUARED2**
სამმაგი ბეჭედი
400₾
**yoox.com**



**SELF-PORTRAIT**
კომბინეზონი ამოჭრილი მკლავებითა და „ელვებით"
970₾
**net-a-porter.com**



**MAX MARA**
წელში გამოყვანილი კაბა ქამრით
960₾
**farfetch.com**



**AVTANDIL**
საღამოს კაბა დეკონსტრუქციის ელემენტებით
1100₾



**LAKO BUKIA**
ყელიანი ბლუზა გრაფიკული პრინტებით
359₾



SONIA RYKIEL F/W 2017/18



**ZARA**
თბილი OVERSIZED შემოსაცმელი
149₾



**PHILLIP LIM**
ტყავის ჩანთა ორმაგი სახელურით
1600₾
**farfetch.com**



**ZARA**
შუზი ორიგინალური ფორმის ქუსლით
95₾



GIORGIO ARMANI F/W 2017/18

CHRISTIAN DIOR F/W 2017/18

TAMUNA INGOROKVA F/W 2017/18

GIORGIO ARMANI F/W 2017/18

EMPORIO ARMANI F/W 2017/18

DAVID KOMA F/W 2017/18

SONIA RYKIEL F/W 2017/18

*იმის გათვალისწინებით, რომ ქართველი ქალბატონები უმეტესად მუქი ფერის სამოსს ატარებენ, **BLACK & BLUE**-ს მორგება განსაკუთრებით დახვეწილად სწორედ მათ გამოუვათ.*





აუზები,
წყლის ატრაქციონები,
ტოპოგანი,
შეუზღუდავი დროით
უსაფრთხო გარემოში

## წელიწადის ოთხივე დროს



ჯინოში
სულ
ზაფხულია!



თბილისი,ბეშენოვას 9/ლიპტოვის 8
Gino Junior.ჯინო ჯუნიორი
(+995 32) 2 15 85 85
(+995 5) 99 88 09 06

# GINO JUNIOR

შოუპროგრამა აუზში
მხიარული ანიმატორებით,
საყვარელი გმირებით
და ფოტო-ვიდეო გადაღებით.
მრავალფეროვანი მენიუ

აღნიშნე
იუბილე
ჯინო ფერედაისის
დაბადების დღის
ცენტრში

გახდი
ჯინო
ჯუნიორი!





FASHION

# H&M

## კოლაბორაციების ქრონოლოგია

ვიდრე წამყვანი შვედური ბრენდი თბილისში პირველ ოფიციალურ მაღაზიას გახსნის, **HELLO!**-სთან ერთად თვალი გადაავლეთ იმ კოლექციებს, რომლებიც 2004 წლიდან დღემდე პოპულარულმა დიზაინერებმა H&M-თან ექსკლუზიურად თანამშრომლობის ფარგლებში შექმნეს.




## KENZO

ტროპიკული პრინტებისა და ეგზოტიკური ორნამენტების ნამდვილი დღესასწაული გახლდათ **KENZO**-ს კოლექცია, რომელიც H&M-ის მაღაზიებში გასული წლის შემოდგომაზე გამოჩნდა. ფერადი STATEMENT-აქსესუარებითა და ბომბერებით გამორჩეული კოლაბორაცია დახლებიდან ელვის სისწრაფით გაქრა. ამ სეზონზე, H&M კიდევ ერთი ექსკლუზიური თანამშრომლობით გაგვანებივრებს.




# KARL LAGERFELD

დემოკრატიული ბრენდისა და მაღალი მოდის თანამშრომლობის პირველი პრეცედენტი კარლ ლაგერფელდს უკავშირდება. **CHANEL**-ის კრეატიულმა ხელმძღვანელმა H&M-ისთვის სამოსი 2004 წელს შექმნა და ამით მოდის ინდუსტრიაში სრულიად ახალ მიმდინარეობას ჩაუყარა საფუძველი. რეკორდული სისწრაფით გაყიდული კოლექციის შემდეგ, H&M ყოველ შემოდგომაზე გვთავაზობს მორიგ ექსკლუზიურ კოლაბორაციებს.



# ERDEM

**ERDEM**-თან კოლაბორაციის ფარგლებში შექმნილი სამოსის შეძენა, იმედია უკვე მოდის თბილისელ (და არა მარტო) მოყვარულებსაც შეეძლებათ.





# VERSACE

ტრადიციულად, ბერძნული მითოლოგიის მოტივებზე აგებული გახლდათ დონატელა ვერსაჩესა და H&M-ის თანამშომლობის ფარგლებში შექმნილი სამოსი, რომელთა შეძენა მოდის მოყვარულებმა 2012 წელს მოახერხეს. კოლექციის პრეზენტაციაზე მისული სტუმრებისთვის ლეგენდარულმა PRINCE-მა იმღერა, პოდიუმზე კი სხვებთან ერთად ლინდსი ვიქსონი და ები ლიც ვიხილეთ.





# BALMAIN

H&M-ის რჩეულ დიზაინერებს შორის, 2015 წელს კარდაშიანების კლანის ფავორიტი – ოლივერ როუსტინგიც აღმოჩნდა. **BALMAIN**-ის კრეატიულმა ხელმძღვანელმა შვედური ბრენდისთვის დახვეწილი, მდიდრული და მბზინვარე კოლექცია შექმნა. საპრეზენტაციო ჩვენებაზე ოლივერის სამოსი სხვებთან ერთად ჯიჯი ჰადიდმა და კენდალ ჯენერმაც მოირგეს.

# LANVIN

კოქტეილის კაბებითა და დელიკატური STATEMENT სამკაულებით იყო გამორჩეული **LANVIN**-ის კოლექცია, რომელიც ტრადიციულად რეკორდულ დროში გაიყიდა. ბრენდის კრეატიულმა დირექტორმა, ალბერ ელბეზმა VOGUE-თან საუბარში აღნიშნა, რომ H&M-ს **LANVIN**-ის ყველა საიდუმლო სიხარულით გაანდო.



# ALEXANDER WANG

კოლაბორაცია, რომლის ოფიციალურ დაანონსებასაც მოდის მოყვარულები საკმაოდ დიდხანს ელოდნენ, დახლებზე 2014 წლის ნოემბერში გამოჩნდა. **ALEXANDER WANG**-მა სპორტული ტოპების, ჰუდების, ლეგინგებისა და აქსესუარების კოლექცია შავის, თეთრისა და ნაცრისფრის კომბინაციებით შექმნა.



Tahe

თბილისი, კავსაძის ქ. 3
(+995) 555 22 33 22
fb/Tahe beauty salon

FASHION

# Bohemian chic by PATRIZIA PEPE

ვნებიანი თანამშრომლობით შექმნილი იტალიური ბრენდი მოდურ რჩევებს 1993 წლიდან მოყოლებული გვაძლევს. 25 წლის წინ, ფლორენციაში დაფუძნებული PATRIZIA PEPE საქართველოში ოფიციალურად პირველად შემოვიდა

2017 წლის შემოდგომა/ზამთრისთვის PATRIZIA PEPE ბოჰემური და რომანტიკული სტილის იდეალურ კომბინაციას გვთავაზობს. ტვიდის სამოსი, ვინტაჟური სტილის ბეწვიანი ქურქები და STATEMENT ლაბადები კოლექციის მთავარ თემატიკაში საკმაოდ ჰარმონიულად ერთიანდება. ნაქარგებიანი ორნამენტების, ბუმბულებისა და გამორჩეული აქსესუარების მეშვეობით, სამოსს 1970-იანი წლების ელფერიც დაჰკრავს. კოლექცია ბოჰემური ქალბატონის მოდური გარდერობისთვის ყველა აუცილებელ ნივთს გვთავაზობს. მოდის მიმდევრები ბრენდის ახალ, 2017 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციას MERCEDES BENZ FASHION WEEK TBILISI-ზე შეაფასებენ, ამიერიდან კი PATRIZIA PEPE-ს სამოსის შეძენა PODIUM-ის მაღაზიებში შეგიძლიათ. მოდური სიახლითაც გაგახარებთ: მალე დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე არაერთი იტალიური MULTIBRAND SHOP-ის გახსნა იგეგმება.




**PATRIZIA PEPE**
ყელსაბამი მწერის ფორმის კულონით



**PATRIZIA PEPE**
გასაღების ფაფუკი საკიდი




**PATRIZIA PEPE**
ბამბის შლაპა ნაქარგით



**PATRIZIA PEPE**
ხელჩანთა სირაქლემას ბუმბულით



**PATRIZIA PEPE**
ტყავის ქამარი მეტალის დეტალებით



**PATRIZIA PEPE**
სპორტული ფეხსაცმელი ბეწვით



**PATRIZIA PEPE**
ტყავის ხელთათმანი მეტალის დეტალებით




**PATRIZIA PEPE**
ზამშეს მაღალქუსლიანი სანდლები ბეწვით



**PATRIZIA PEPE**
ზამშეს პატარა ხელჩანთა სირაქლემას ბუმბულით



**PATRIZIA PEPE**
ზამშეს ხელჩანთა სირაქლემას ბუმბულით

*Soon new Italian MULTI-BRAND SHOP will be opened – Tbilisi central street*

*Tbilisi, Paliashvili st. 41; Vekua st. 3 – Shopping Center GTC*






*Take a look at PATRIZIA PEPE Fall-Winter collection 2017 and get inspired by the newest looks of the season*






PERFUME

# შემოდგომის სურნელი

შემოდგომის მიწურულს ქალბატონები უარს ამბობენ ტკბილ და ტროპიკულ არომატებზე და საკუთარ კოლექციას ამინდისა და სეზონური გარდერობის შესაბამისი, უფრო მძაფრი და ეგზოტიკური სუნამოებით ამდიდრებენ

ნოემბრისათვის წამყვანი პარფიუმერული ბრენდები უამრავ სურნელოვან სიახლეს გვთავაზობენ, მათგან საუკეთესოები კი HELLO!-მ თქვენთვის შეარჩია.



**LANCOME**
**La Vie Est Belle Perfume**
სუნამო ჟასმინისა და ფორთოხლის მძაფრი არომატით




**EMPORIO ARMANI**
**Because It's You**
სუნამო კენკრის თავბრუდამხვევი სურნელით

**DKNY**
**Nectar Love**
გრეიფრუტისა და თაფლის არომატების კომბინაცია









**PRADA**
**La Femme Intense**
სუნამო პაჩულისა და ეთერზეთების მძაფრი სურნელით




**ELIE SAAB**
**Girl Of Now**
მანდარინის, ფორთოხლისა
და ფისტას არომატით




**GUCCI**
**BLOOM**
ყვავილებისა და ხის გრილ
სურნელთა კომბინაცია

*მოდით, ცნობილი ბრენდების მიერ შემოდგომის სეზონისთვის შემოთავაზებული ახალი სურნელებს გავეცნოთ*




**HERMES**
**Twilly D'Hèrmes**
კოჭას, სანდლის ხისა და
ტუბეროზას არომატების
კომბინაცია



**JO MALONE**
**Wood Sage & Sea Salt**
სუნამო ხის, სალბისა და
ზღვის მარილის არომატით




**TIFANY & CO.**
**Eau De Parfum**
სუნამო ციტრუსების
გრილი სურნელით




**VIKTOR & ROLF**
**Flowerbomb**
**jasmine Twist**
ყვავილების მძაფრი და
მდგრადი სურნელი



BEAUTY

# გამოძერწეთ საკუთარი ნაკვთები!

თუ ცხვირის ბუნებრივი ფორმის შეცვლა უმტკივნეულოდ და ქირურგიული ჩარევების გარეშე გსურთ, აუცილებლად გირჩევთ არაქირურგიული რინოპლასტიკის მეთოდს მიმართოთ

პროცედურა, რომლის წყალობითაც სხვადასხვა სახის დეფექტის გამოსწორებაა შესაძლებელი, საკმაოდ კომფორტული და სწრაფია, მცირე სარეაბილიტაციო პერიოდს საჭიროებს და მხოლოდ და მხოლოდ ნახევარ საათს გრძელდება.



არაქირურგიული რინოპლასტიკა ცხვირის ფორმის ცვლილებასა და კორექციას ბუნებრივი შემავსებლით, იგივე ჰიალურონის მჟავით გულისხმობს, რიგ შემთხვევებში კი ბოტულოტოქსინიც გამოიყენება. აღნიშული პროცედურა საკმაოდ მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს და მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ჩატარდეს სწრაფად, უსაფრთხოდ და გვერდითი მოვლენების გარეშე.

თუ ცხვირის ფორმის ცვლილებას არაქირურგიული რინოპლასტიკის მეთოდით გადაწყვეტთ, აუცილებლად გირჩევთ წინასწარი დიაგნოსტიკა ჩაიტაროთ. კვალიფიციური დერმატოკოსმეტოლოგი თქვენი ცხვირის ფორმისა და სურვილების გათვალისწინებით, ინდივიდუალურ მეთოდიკას შეგირჩევთ, რის შემდეგაც უკვე კორექციის პროცესის ჯერი დგება. H

ესთეტიკის ცენტრი **CONTOUR**
*დ. გამრეკელის ქ. 10, თბილისი*
*ტელ: (+995) 322 727 000*



*თუ ცხვირის ფორმის ცვლილებას არაქირურგიული რინოპლასტიკის მეთოდით გადაწყვეტთ, აუცილებლად გირჩევთ წინასწარი დიაგნოსტიკა ჩაიტაროთ*



**თამარ ციციშვილი-ქაუგილი**
დერმატო-კოსმეტოლოგი

## არაქირურგიული რინოპლასტიკის მეთოდს უნდა მიმართოთ იმ შემთხვევაში, თუ გსურთ

- **კეხის გასწორება**
- **ოპერაციის შემდგომი დეფექტების გაქრობა**
- **ტრავმის შედეგად მიღებული დაზიანებების მოშორება**
- **ცხვირის აწევა/დათხელება ან სიგრძის ვიზუალურად დამოკლება**
- **თანდაყოლილი დეფექტების გამოსწორება**

ბევრ შემთხვევაში მხოლოდ ქირურგიული ჩარევაა რეკომენდებული, ხშირად კი სხვადასხვა სახის დეფექტებს არაქირურგიული რინოპლასტიკა იდეალურად უმკლავდება. **მიღებული შედეგი ნარჩუნდება 2,5-3 წელი**.



BEAUTY

# შეაჩერეთ დრო!

**თანამედროვე ესთეტიკური მედიცინისა და პლასტიკური ქირურგიის წყალობით, ქალბატონებისთვის ასაკის მატება უკვე აღარ ასოცირდება კანის გაუარესებულ სტრუქტურასა და ნაოჭებთან**

დაბერების ნიშნებთან უმტკივნეულოდ ბრძოლა და ნებისმიერ ასაკში გლუვი, ხავერდოვანი კანის შენარჩუნება საკმაოდ მარტივი და იოლად გასახორციელებელი მიზანია, რომლის მიღწევაშიც მხოლოდ და მხოლოდ სწორად შერჩეული პროცედურა და კვალიფიციური პროფესიონალები დაგეხმარებიან.

როდესაც საქმე ნაოჭების კორექციასა და დაბერების ნიშნებთან ბრძოლას ეხება, თქვენს კანზე ზრუნვა აუცილებლად საერთაშორისო ხარისხსა და გამოცდილებასთან ასოცირებად პროდუქციასა და თერაპიებს უნდა მიანდოთ.

ესთეტიკური მედიცინა 20 წელზე მეტია იყენებს ბოტულინო-ტოქსინს (*ტიპი A*) ნაოჭების კორექციისთვის, რომლის სტრუქტურისა და მოქმედების მექანიზმის შესახებ დაგროვილია ფუნდამენტურ კვლევებზე ორიენტირებული უამრავი ინფორმაცია.

**XEOMIN** – ახალი თაობის პრეპარატია გერმანიიდან. პრეპარატის უნიკალურ თვისებას მისი სტაბილურობა განსაზღვრავს. პრეპარატის შენახვა შესაძლებელია ოთახის ტემპერატურაზე, რაც პაციენტისა და ექიმის ურთიერთობას უფრო გამჭვირვალესა და საიმედოს ხდის.

**XEOMIN**-ის ძირითადი უპირატესობა მიმიკის შენარჩუნება გახლავთ. ნაოჭების გაქრობის შემდეგ, თქვენი სახე ყველა ბუნებრივ მახასიათებელს ინარჩუნებს, ხდება უფრო გლუვი, ელასტიკური და ერთგვაროვანი, თქვენ კი – საგრძნობლად თავდაჯერებული და ბედნიერი! H




ბოტულინო-ტოქსინი
**XEOMIN, MERZ AESTHETICS**

*აფთიაქი **ჭპს**, ესთეტიკური კაბინეტი*
*ი. აბაშიძის ქ. 41, თბილისი*
*ტელ.: +995 0322 145 000; მობ.: +995 577 477 903*



HELLO! GEORGIA
შეიძინეთ ჟურნალის ელექტრონული ვერსია
HELLO! GEORGIA
NOVEMBER Must-Haves
GET FEATHERED
BLACK & BLUE
MASCULIN FÉMININ
ჯენიფერ ლოპესი
ჰემფთონსში მდებარე საოცნებო სახლში გვეპატიჟება
გიორგი ხვედელიანი, ზუკა რურუა და მიშა ბაღათურია
ლიკა ქავჟარაძე
ქართული სილამაზის ეტალონი
ISSN 2449-2590
იკითხეთ
HELLO!
მთელ მსოფლიოში
სმარტფონებზე, პლანშეტებზე და პერსონალურ კომპიუტერებზე
ჩამოტვირთეთ ქართული HELLO! მსოფლიოს უმსხვილესი დახლებიდან
ZINIO და
MAGZTER
Google play
App Store
TOP WOMEN'S MAGAZINES
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
info@hellomagazine.ge





ჯიჯი ჰადიდი



ბიონსე

BEAUTY

# მელირება შემოდგომის ფერებში

ცხელი ზაფხული უკან მოვიტოვეთ და ქალბატონების უმეტესობა საზღვაო კურორტებიდან მზეზე გახუნებული, ოქროსფრად მბზინვარე თმით დაბრუნდა

სწორედ ამიტომ, ელვარე ჩალისფერი მელირება, რომელიც ფოთოლცვენის ფერების ერთგვარი იმიტაციაა, მალევე იქცა ჰოლივუდურ ტრენდად. მსგავსი ვარცხნილობა, სხვებთან ერთად უკვე მოირგო სუპერმოდელმა ჯიჯი ჰადიდმა.

მელირება, რომელიც ქერასა და ყავისფრის სინთეზით, ჰარმონიულ და თბილ ტონებს ქმნის, ძალიან უხდება როგორც გრძელ ტალღოვან, ასევე მოკლედ შეჭრილ თმას. ამის მთავარი საიდუმლო კი იდეალურად მბზინვარე ჰაილაითები გახლავთ. ჰარმონიულად გარდამავალი ფერები და მბზინვარე აქცენტები იდეალურად ეხამება მოდურ საშემოდგომო გარდერობსა და ჯერ კიდევ შემორჩენილ ნამზეურს.

**NATALI wellness lab**
*მ. კოსტავას ქ. 67, თბილისი*



**გიორგი ხიდიროვი**
არტ-დირექტორი
სილამაზის სალონთა ქსელი NATALI



ჯესიკა ალბა



**ტექსტი**: თათია ლაშაური. **ფოტო**: ლეკო ჭყონია, GETTY IMEGES.

















Etere Agency

BENITO

BENITO
–Urban
–Light
–Play
–Covers

+995 577 12 22 08

www.benito.com



BEAUTY

# ჯანსაღი თმა სუსხიან სეზონზე

**თმის ცვენისა და გაუხეშებული ბოლოების პრობლემა ქალბატონებს ყოველ სეზონზე განსხვავებული მიზეზის გამო აწუხებთ. ზაფხულობით თქვენი თმის ხარისხის გაუარესება მზის სხივებისა და ქლორიანი წყლის ბრალია, ზამთარში კი ამ ყველაფერზე „პასუხისმგებელი" სუსხიანი ამინდები გახლავთ. სწორედ ამიტომ, თქვენს თმას, სეზონიდან სეზონამდე, განსაკუთრებული მოვლა და ზრუნვა ესაჭიროება, თანაც – აუცილებლად სწორად შერჩეული პროდუქციით. HELLO! თმის მოვლის იმ საშუალებებს გაგაცნობთ, რომლებიც ნებისმიერ სეზონზე იზრუნებენ თქვენი თმის იდეალურ მოცულობასა და მბზინვარებაზე**

თმის პროფესიული მოვლის საშუალებების ხაზი **TAHE**, რომელიც 1960 წელს დაარსდა და დღეისათვის 50-ზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი, საქართველოში ოფიციალური წარმომადგენლობით სულ ცოტა ხნის წინ გამოჩნდა. პოპულარული ბრენდის პროდუქციის საკუთარ თავზე გამოცდა, სხვა რამდენიმე სილამაზის სალონთან ერთად, **TAHE BEAUTY SALON**-შიც შეგიძლიათ.

სხვადასხვა დანიშნულებისა და ეფექტის მქონე გამაჯანსაღებელი 3 კურსი, რომელსაც HELLO დღეს გაგაცნობთ, ინოვაციური შემადგენლობის დახმარებით, თქვენს თმას ბუნებრივ სიჯანსაღეს, მბზინვარებასა და ხავერდოვან სტრუქტურას საკმაოდ მოკლე დროში მიანიჭებს.

**BEAUTY SALON TAHE**
*კავსაძის ქ. 3, თბილისი*
*ტელ: (+995) 555 22 33 22*




1

## OLEO & CONTROL

სამეტაპიანი სისტემა, რომელიც ქიმიური დამუშავებისას თმის დაზიანების რისკს 96%-მდე ამცირებს, ელასტიკურობასა და ბრწყინვალებასაც შეგინარჩუნებთ, საგრძნობლად დაგირბილებთ, გაგიუმჯობესებთ თმის სტრუქტურას და 100%-ით შეგიმცირებთ ფერის დაკარგვის საშიშროებას. სერიაში, შამპუნთან და ნიღაბთან ერთად, **BOND BOOSTER №1**-იც შედის, რომელიც ქიმიური დამუშავების დროს თმას დაზიანებისა და მავნე გარემოსგან იცავს. იგი ღრმად აღწევს თმის სტრუქტურაში, ააქტიურებს ბუნებრივ კერატინს და აძლიერებს თმას, რომელსაც უფრო მეტ მოცულობას სძენს.




2

## BOTANIC TRICOLOGY

ეს სერია მთლიანად ბიოპროდუქციისგან შედგება. მის ფარგლებში, **TAHE** მომხმარებელს სამ სამკურნალო ხაზს სთავაზობს. ესენია: თმის ცვენის ხაზი, ბრძოლა ქერტლთან და ცხიმიანი თმის პრობლემები. ზემოხსენებულ ხაზში ისეთი მრავალფეროვანი პროდუქცია შედის, როგორებიცაა მაგალითად, შამპუნი **LINEA DETOX**, ქერტლის საწინააღმდეგო პრეპარატი **TREATMENT**, თმის ნიღაბი, რომელიც არ შეიცავს პარაბენს და განკუთვნილია თმის ძირების გამაგრებისა თუ გაჯანსაღებისთვის, სახელწოდებით **THICKENING MASK** და ა.შ.




3

## MAGIC Bx

ეს გახლავთ თმის მოვლის ხაზი, რომელსაც აქვს ბოტოქსის ხანგრძლივი ეფექტი. მოვლის ხაზი 4 ეტაპად იყოფა: უწყვეტი მბზინვარება; ხშირი მოცულობა; სასიამოვნო სირბილე და გარდასახვა. ამ ოთხმაგი ეფექტის მისაღწევად კი, **TAHE** რამდენიმე პროდუქტს გვთავაზობს, რომელთა კომბინირებულად გამოყენება საბოლოო შედეგს უმოკლეს დროში იძლევა.

# საუნივერსიტეტო




## კოსმეტოლოგია

### მსოფლიოში აღიარებული გამაახალგაზრდავებელი, სიბერის შემაჩერებელი პროცედურები

- **ULTHERA** – ინოვაციური ტექნოლოგია ბათუმში, სახისა და სხეულის ლიფტინგი არაქირურგიული გზით
- ტუჩის მოცულობის გაზრდა
- ცხვირ-ტუჩის ნაოჭის გასწორება
- ყვრიმალების მოდელირება
- თმის ცვენის შემაჩერებელი ფილერი



- RF ლიფტინგი
- ბიორევიტალიზაცია
- მეზოთერაპია
- პლაზმოლიფტინგი
- სახის მოვლის პრემიუმ კლასის პროცედურები



ესთეტიკური მედიცინის სრული სპექტრი

მსოფლიოს ტოპ ტექნოლოგიები „მედიში“

# კლინიკა „მედი“ ბათუმში

## სტომატოლოგია



ნიკოლოზ გზირიშვილი | ნანა ლომაია | ჯელო ჩელებაძე | დავით მიქელაძე

**მაქსიმალური ესთეტიკა!**

**100%-ით დაცული პაციენტის უსაფრთხოება!**

## სტომატოლოგიის სრული სპექტრი

- **CEREC** – სტომატოლოგიური რობოტი, საოცნებო ღიმილი მხოლოდ ერთ დღეში
- **იმპლანტაცია** – NOBEL, SCHUTZ, SGS, OSTEM
- **ორთოდონტია** – კბილების გასწორება ბრეკეტებით
- **ორთოპედია** – ცირკონის და ცერეკის უმეტალო კერამიკის, მეტალოკერამიკის კონსტრუქციები, ვინირები, გვირგვინები
- ბავშვთა სტომატოლოგია
- თერაპია
- ქირურგია



## კლინიკა „მედი“

საერთაშორისო კლინიკათა ქსელი საქართველოში, რუსეთსა და ჩეხეთში

ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა N23

ტელ.: +995 (422) 27 77 88





FITNESS

# Stay FIT!

## რჩევები ეკო ფანგანისგან

გაინტერესებთ, როგორ ინარჩუნებენ ცნობილი ადამიანები სხეულის იდეალურ ფორმებს და რა საიდუმლოს წყალობით გამოიყურებიან ყოველთვის შესანიშნავად? პოპულარული ტელეწამყანი ეკო ფანგანი HELLO!-ს მკითხველს ვარჯიშის, სწორი კვებისა და ცხოვრების ჯანსაღი სტილის შესახებ საკმაოდ საინტერესო რჩევებსა და რეკომენდაციებს უზიარებს

*„როდესაც ვარჯიშობ და კუნთის მასა იზრდება, აუცილებელია ორგანიზმმა ყველა საჭირო პროდუქტი მიიღოს“*

ჩვენი გუნდი ეკოს ფიტნესცენტრ OKTOPUS-ის კაფეში შეხვდა. როგორც გაირკვა, ტელეწამყვანი სპორტდარბაზის ხშირი სტუმარია. საკუთარ გამოცდილებაზე ვრცლად ეკო თავად გვიამბობს.

**რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ფიტნესი და რა სიხშირით ვარჯიშობთ?**

**ე.ფ.** ვარჯიში მარტში დავიწყე. ზაფხულში ქალაქიდან გასვლა მომიწია და ცოტა პასიური პერიოდი გამომივიდა. თბილისში დაბრუნების შემდეგ, ისევ განვაახლე ვიზიტები OKTOPUS-ში. სპორტდარბაზს კვირაში მინიმუმ ოთხჯერ ვსტუმრობ და ძირითადად ჯგუფური ვარჯიშებით ვარ დაკავებული. პილატესი, იოგა – აქ ძალიან საინტერესო კურსებია მათთვის, ვისაც ფიზიკური ფორმის მოწესრიგება და წონის დაკლება სურს. უფრო მეტი სტიმულია, როდესაც რამდენიმე ადამიანი ერთად ვარჯიშობს, თანაც – პროფესიონალი მწვრთნელის ზედამხედველობის ქვეშ.

**ცდილობთ თუ არა, ფიტნესს სწორი კვებაც შეუთავსოთ?**

**ე.ფ.** ყოველთვის მინდოდა, მაგრამ აქამდე ვერ ვახერხებდი ვარჯიშისთვის სწორი კვების შეთავსებას. ალბათ იმიტომ, რომ წონის პრობლემა არასოდეს მაწუხებდა. ვფიქრობ აუცილებელია ფიტნესს შესაბამისი რაციონი მოარგო. როდესაც ვარჯიშობ და კუნთის მასა იზრდება, აუცილებელია ორგანიზმმა ყველა საჭირო პროდუქტი მიიღოს. ბოლო დროს ამ საკითხს უფრო სერიოზულად მოვეკიდე. როდესაც კერძების თავად მომზადების დრო არ მაქვს, ხშირად ვსტუმრობ OKTOPUS-ის კაფეს და ჯანსაღ საკვებს გეახლებით. ძირითადად ნახშირწყლებით მდიდარ საკვებს მივირთმევ და არც პროტეინებით მდიდარ უგემრიელეს შეიკებზე ვამბობ უარს. განსაკუთრებით მიყვარს ვარჯიშის შემდეგ წახემსება, თანაც OKTOPUS-ის კაფეში საკვებს კალორიების ცხრილიც ახლავს, რაც დღის რაციონის უკეთ დაგეგმვაში მეხმარება.

**რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის სწორი კვება?**

**ე.ფ.** ყველაზე მნიშვნელოვანია. კვების სწორი რაციონი ჩემთვის უპირველესად ჯანმრთელობასა და კარგ განწყობასთან ასოცირდება. იგივე შემიძლია ვთქვა ვარჯიშზეც. სპორტდარბაზში გატარებული რამდენიმე საათის შემდეგ, დაღლილობის მიუხედავად, თავს უფრო მხნედ და ბედნიერად ვგრძნობ.

**ძალიან გადატვირთული გრაფიკი გაქვთ. როგორ იწყება თქვენი დილა?**

**ე.ფ.** ყოველ დილით, უზმოზე, ჭიქა წყალს მივირთმევ. თუ შინ საუზმობისთვის დრო მაქვს, შვრიის ფაფას გეახლებით ხილთან ერთად.

**რას ურჩევდით გოგონებს, რომლებიც ახლა აპირებენ ვარჯიშის დაწყებას?**

**ე.ფ.** საწყის ეტაპზე დიდი სტიმული ექნებათ, შემდეგ კი აუცილებლად გადაიღლებიან. ვურჩევ, არ დანებდნენ – მაქსიმუმ 3 თვეში ფიტნესი მათთვის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდება. მე თავადაც ვეწევი ვარჯიშის აქტიურ პროპაგანდას და მიმაჩნია, რომ საკუთარი სხეულისთვის დრო ყველამ უნდა გამონახოს. მთავარია მონდომება, თორემ ვარჯიში სახლის პირობებშიც შესაძლებელია. H

---

**ტექსტი**: თათია ლაშაური
**ფოტო**: ლეკო ჭყონია
**ლოკაცია**: OKTOPUS Fitness Club
*სანდრო ეულის ქ. 7, თბილისი*





TRAVEL

# ლაჟვარდოვანი ნაპირი

ტურისტული ადგილები ყველაზე მიმზიდველი არატურისტულ სეზონზეა, ასე რომ დაიწყეთ ჩემოდნების გამზადება და გლამურული ვოიაჟი რომელიღაც ევროპულ ქვეყანაში მოიწყვეთ. სანამ ჩემოდნის მზადების პროცესში ხართ, HELLO!-ს რედაქცია საფრანგეთსა და იტალიაში მოგზაურობის მოგონებებს გაგიზიარებთ.

## ფრანგული რივიერა

ლაჟვარდოვანი ნაპირი (CÔTE D'AZUR) – ეს სახელწოდება ფრანგმა მწერალმა სტეფან ლეჟარიემ მოიფიქრა, რომელმაც 1887 წელს გამოსცა რომანი „ლაჟვარდოვანი ნაპირი“. ფრანგული რივიერას პოპულარობა უპირობოა და ეს გარკვეულწილად კლიმატის დამსახურებაცაა – აქ თბილი ზამთარი იცის, ხოლო ზაფხულში მზე რბილი და ნაკლებად მწველია. ლაჟვარდოვანი ნაპირი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია მსოფლიოში, რაც ასევე უძრავი ქონების ღირებულებაზე პირდაპირპროპორციულად აისახება.



## MENTON

**ჩვენი** მოგზაურობა ფრანგულ რივიერაზე მენტონით დაიწყო, რომელსაც მეტსახელად „საფრანგეთის მარგალიტსაც“ უწოდებენ. ლაჟვარდოვანი სანაპიროს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ქალაქი საფრანგეთისა და იტალიის საზღვარზე მდებარეობს და ცნობილია ულამაზესი ბაღებითა და გასაოცარი ხედებით ხმელთაშუა ზღვაზე. მენტონი საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის უკიდურესი კუთხეა, რომელშიც იტალიური და ფრანგული კულტურა ჰარმონიულადაა შერწყმული. აქ საუკეთესო რესტორნები სწორედ რომ იტალიურია. ყველა კუთხეში შეგიძლიათ დააგემოვნოთ უგემრიელესი ჯელატოები და ამავდროულად ისიამოვნოთ ფრანგული შიკითა და დახვეწილობით, რომელიც ასე იგრძნობა სანაპიროზე მოსეირნე ფრანგებში.

**დამატებითი ინფორმაცია**

მენტონში ყოველი წლის თებერვალში ქალაქის ცენტრი ლიმონითა და სხვადასხვა ციტრუსით შექმნილი ქანდაკებებით ფორმდება. აქ, ამ დროს ლიმონის ნამდვილი ფესტივალია, თუმცა ციტრუსების სურნელი ქალაქში ნებისმიერ სეზონზე ტრიალებს, რომელიც უდავოდ ლიმონის ხეივნების დამსახურებაა.



# MONACO

**თუკი** ღამის ცხოვრებას, ყველაზე ძვირადღირებული შამპანურით ხელში, გლამურსა და შიკს მოწყურებული ხართ, არდადეგები სწორედ მონაკოში უნდა დაგეგმოთ. თუ მსოფლიოში ტენდენციები იცვლება და სამყაროს ანდერგრაუნდი იპყრობს, მონაკო უცვლელი რჩება. ქალბატონებისთვის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის, ხოლო მამაკაცებისთვის სმოკინგის გარეშე აქ ყველაზე პრესტიჟული კარები დახურული რჩება. მდიდრული ვილა ფრანგულ რივიერაზე, იახტა და სამორინეს ფსონი – ეს სწორედ ისაა, რის გარეშეც მონაკო სრულიად წარმოუდგენელია.

მსოფლიო ელიტას ფრანგული რივიერას ეს პაწაწინა სახელმწიფო მდიდრული სასტუმროებისა და სამორინეების, შოპინგისა და გართობის გამო იზიდავს. ძვირადღირებული მანქანებით თავის მოწონება და წვეულებები იახტებზე შამპანურის შადრევნებით, აქ ყოველდღიურობის ნაწილია.

## დამატებითი ინფორმაცია

მონაკოში ყოველ შემოდგომაზე იახტების ფესტივალი იმართება, სადაც ერთდროულად ასობით იახტა და იახტის მეპატრონე იყრის თავს. **MONACO YACHT SHOW** ერთდროულად ყველაზე ინოვაციური, მდიდრული და დიზაინერული კუთხით სრულყოფილი იახტების გამოფენა და გაყიდვაცაა. ასე რომ, თუკი თქვენც, HELLO!-ს რედაქციასავით გერგოთ პატივი **MONACO YACHT SHOW**-ს სტუმრები იყოთ, იახტების თვალიერებაში თავად მონაკოს პრინცი არ გამოგრჩეთ თვალთახედვიდან – შესაძლოა ის თქვენთან ერთად მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული იახტის თვალიერებით ტკბებოდეს.









# NICE

**ლაჟვარდოვანი** სანაპიროს მარგალიტი, დახვეწილი და ელეგანტური – ეს ფრანგული რივიერას ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ნიცაა. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ეს უმშვენიერესი ქალაქი ბერძნებმა ჩვ.წ.აღ-მდე 350 წელს ააგეს და სახელიც გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს სადიდებლად დაარქვეს. ნიცა მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ზღვისპირა ქალაქია – საუცხოო არქიტექტურითა და საუკეთესო რესტორნებით, მრავალრიცხოვანი მუზეუმებით, ძველი ქალაქის ნანგრევებითა და ხეხილის ხეივნებით.

**დამატებითი ინფორმაცია**

ნიცა მდიდარია სხვადასხვა მუზეუმითა და კოლექციებით, რომლებიც აქ ინახება. მხატვრები საცხოვრებელ ადგილად ხშირად სწორედ ნიცას ირჩევდნენ. ნიცაში თქვენ შეგიძლიათ მატისის სახლ-მუზეუმს ეწვიოთ, სადაც მხატვარმა ცხოვრება 1917 წლიდან გარდაცვალებამდე გაატარა.

**CHEK IN** ჩვენი ვოიაჟი ნიცაში რესტორნით **PALM VILLEFRANCHE** დასრულდა, სადაც ჩვენდა გასაკვირად, ქართველი მასპინძლები და ქართულად მოსაუბრე მომსახურე პერსონალი დაგვხვდა. ევროპულ-ქართული რესტორანი, რომელსაც ხათუნა და მამუკა სოფრომაძეები ფლობენ, ლაჟვარდოვანი ნაპირის ერთ-ერთი მდიდრული ადგილის, კაპ ფერას მოსახლეობის თავშეყრის ადგილია. თუკი საფრანგეთში მოგზაურობისას გემრიელი ხაჭაპური მოგენატრათ ან საუკეთესო მედიტერიანული სამზარეულოს ფანტასტიკური კერძების გასინჯვა გსურთ, მონაკოდან 10 წუთის სავალზე მდებარე ზღვისპირა რესტორანს მიაკითხეთ.



# CANNES

**„წითელი ხალიჩისა“** და კინოსამყაროს წარმომადგენლების თავშესაყრელი ადგილი – ეს პირველი ასოციაციაა, რაც ამ ქალაქთან დაკავშირებით გიჩნდება, და რა თქმა უნდა, ქალაქში ჩასვლისთანავე „წითელი ხალიჩისკენ“ მიეშურები. სამწუხაროდ, ჩვენ ხალიჩა ადგილზე არ დაგვხვდა და კინოფესტივალიც დიდი ხნის ჩავლილი იყო, თუმცა ვიცოდით – კანი ასევე საოცარი სილამაზის ქვიშის სანაპიროებითა და კამკამა წყლით გამოირჩეოდა. ასე რომ, ჩვენც გეზი სწორედ იქით ავიღეთ. ლაჟვარდოვანი სანაპიროს ეს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი წარსულითაც გამოირჩევა. იგი ერთ-ერთი უძველესია ამ სანაპირო ზოლზე არსებულ ქალაქთა შორის. ისტორიული წყაროების მიხედვით, კანის ტერიტორიაზე ქალაქი ქრისტეს შობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე დაარსებულა და მეთევზეების სოფელს წარმოადგენდა, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, იგი არისტოკრატთა ფავორიტ საკურორტო ადგილად იქცა. დღეს კანი არა მხოლოდ ცნობილი კინოფესტივალის, არამედ სხვადასხვა კულტურული თუ სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის ეპიცენტრია.

## დამატებითი ინფორმაცია

ძველი ქალაქი **LE SUQUET,** კანის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა, რომელიც 1035 წელს აშენდა და მოსახლეობას მეკობრეების გაუთავებელი თავდასხმებისგან იცავდა. ეს უძველესი უბანი მართლაც ძალიან მომხიბლავია. რომაული სოფლისგან მხოლოდ რამდენიმე ულამაზესი ქუჩაა შემორჩენილი – ტიპური ხმელთაშუაზღვის სტილის არქიტექტურით, რომელსაც უძველესი ციხე-სიმაგრისკენ მიჰყავხარ. იქ ასევე ეკლესია, მუზეუმი და სათვალთვალო კოშკია განლაგებული.










# იტალიური რივიერა

იტალიური რივიერა ვიწრო ზოლის სანაპიროა საფრანგეთის რივიერადან ტოსკანამდე. ფრანგული რივიერასგან მას ისტორიული საპორტო ქალაქები გამოარჩევს, ულამაზესი პეიზაჟებითა და ზომიერი კლიმატით. იტალიურო რივიერას იმ ნაწილს, სადაც სან-რემოა განლაგებული, RIVIERA DEI FIORI-ს, ანუ „ყვავილების რივიერასაც" უწოდებენ, ვინაიდან ეს რეგიონი ოდითგანვე ცნობილია მეყვავილეობის დიდი კულტურით.



## SANREMO

**თუ იმ თაობას** ეკუთვნით, რომელთა ბავშვობას სან-რემოს ფესტივალის გარეშე არ ჩაუვლია, მაშინ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! პოპულარული მუსიკალური კონკურსი იტალიურ კურორტზე 1951 წლიდან ყოველ ზამთარს – თებერვლის შუა რიცხვებში ტარდება და ათასობით ტურისტს იზიდავს. თუმცა ხმელთაშუაზღვის ეს კურორტი არა მხოლოდ მუსიკალური კონკურსით, არამედ მდიდრული ვილებითა და სამორინეებითაა ცნობილი და მას „იტალიურ მონაკოსაც" კი უწოდებენ. იტალია იდეალურია არა მხოლოდ გასტრონომიული კუთხით, არამედ ოცნებაა შოპოჰოლიკებისთვის. იტალიური ბუტიკები განთქმულია ძალიან ხარისხიანი ქსოვილებითა და ნაწარმით. აქ საოცრად ბევრ საინტერესო რამეს აღმოაჩენთ, და რა თქმა უნდა – წასვლისას არ დაგავიწყდებათ ღვინის ბუტიკიც, სადაც ერთ თუ ორ, ადგილობრივი წარმოების უგემრიელეს ღვინო დაავლებთ ხელს.

**დამატებითი ინფორმაცია**

მოგზაურობა იტალიაში ისტორიული ძეგლების გარეშე სრულიად წარმოუდგენელია – თითქოს ყოველი ხე თუ ქვა ისტორიის მატარებელია. თუ სან-რემოში მოხვდით, აუცილებლად ეწვიეთ ქალაქის ცენტრის ჩრდილოეთით მდებარე ტაძარს **MADONNA DELLA COSTA**, რომელიც მე-17 საუკუნეში იყო აგებული და ძალიან საინტერესოა თავისი ბაროკოს სტილის ნაგებობით.

**ტექსტი**: ნანკა კიკალეია. **ფოტო**: ISTOCK, HELLO!.



www.facebook.com/ioverdegeo

ვერტიკალური
ბაღი
ახალი სიტყვა ინტერიერის დიზაინში

IO VERDE



COOKERY

# მომზადებულია სიყვარულით...

ფოტო: რესტორანი „ტფილისი მეიდანი“

რესტორან „ტფილისი მეიდანის“ ბრენდშეფი თამთა კიკალეიშვილი საუკეთესო კერძების საიდუმლო რეცეპტებს გაგიმხელთ და მათ მომზადებაშიც დაგეხმარებათ

## სალათი „ტიფლიტანა“

**რეცეპტი** 1 ულუფა

**მოსამზადებელი დრო**
35-40 წუთი

**ინგრედიენტები**
- ქათმის ფილე 120 გრ.
- მარილი 1 გრ.
- პილპილი 1 გრ.
- სეზონური კენკრის მიქსი 25 გრ.
- მაყვალი 30 გრ.
- ზეითუნის ზეთი 40 მლ.
- შავი ბალზამიკო 40 მლ.
- ნიორი 1 კბილი.
- პომიდორი „ჩერი“ 30 გრ.
- პარმეზანი 25 გრ.
- ლოლაროსას ფოთლები 40 გრ.
- რუკოლა 15 გრ.
- ნიგოზი 30 გრ.

**მომზადების წესი**
**1.** უპირველეს ყოვლისა, ვიწყებთ მარინადის მომზადებას ქათმის ფილესთვის. ამისთვის საჭიროა ფართო ზომის ჯამში მოვათავსოთ 20 მლ. მაღალი ხარისხის ზეითუნის ზეთი, 20 მლ. მაღალი ხარისხის ბალზამიკოს ძმარი, დავუმატოთ შუაზე გაჭრილი ერთი კბილი ნიორი და კარგად ავურიოთ.
**2.** 120 გრამი ქათმის ფილე მოვათავსოთ მარინადში მინიმუმ 30 წუთის განმავლობაში.
**3.** დამარინადების შემდეგ დავბრაწოთ ქათმის ფილე ნაკვერჩხალზე ან ტაფაზე. თუმცა, უკეთესი არომატისთვის სასურველია ფილეს ნაკვერჩხალზე დაბრაწვა. ტაფაზე შეწვისას სასურველია გამოვიყენოთ საშუალო ცეცხლი.
**4.** სანამ ქათმის ფილე იწვება, შეგვიძლია დავიწყოთ სალათის მომზადება. საშუალო ზომის ჯამში მოვათავსოთ ლოლაროსას ფოთლები და რუკოლა, შემდეგ დავუმატოთ 30 გრ. პომიდორი „ჩერი“, დარჩენილი 20 მლ. ზეითუნის ზეთი და 20 მლ. ბალზამიკოს ძმარი, ასევე დავუმატოთ 25 გრ. სეზონური კენკრის მიქსი და 30 გრ. მაყვალი. კარგად ამოვურიოთ და სალათის მიქსი მოვათავსოთ თეფშზე.
**5.** ქათმის ფილე დავჭრათ ზოლებად და მოვათავსოთ მომზადებული სალათის მიქსზე. ამის შემდეგ მოვაყრით 25 გრ. პარმეზანის ყველს 30 გრ. დატეხილ ნიგოზთან ერთად.



# სოკო ნუშით

**რეცეპტი** 1 ულუფა

**მოსამზადებელი დრო**
15-20 წუთი

**ინგრედიენტები**
- ხის სოკო 250 გრ.
- ქამა სოკო 100 გრ.
- ნიორი 1 კბილი.
- თეთრი ღვინო 50 მლ.
- ნუშის ფქვილი 20 გრ.
- ნუშის ფანტელი 15 გრ.
- კარაქი 20 გრ.
- პიტნა 10 გრ.
- მარილი 2 გრ.
- პილპილი 1გრ.

**მომზადების წესი**
**1.** 20 გრ. კარაქში კარგად მოვბრაწოთ 1 კბილი ნიორი, 250 გრ. ხის სოკო და 100 გრ. ქამა სოკო 5-6 წუთის განმავლობაში, ან ვიდრე სოკო ოქროსფრად არ შეიფერება.
**2.** მოოქროსფრების შემდეგ, სოკოს მოვასხათ 50 მლ. თეთრი ღვინო თქვენი გემოვნებით.
**3.** შემდეგ მოვაყაროთ 2 გრ. მარილი და 1 გრ. პილპილი (ან გემოვნებით) და გადმოვდგათ ცეცხლიდან.
**4.** დავუმატოთ 20 გრ. ნუშის ფქვილი და 10 გრ. დაჭრილი პიტნა.
**5.** მოვაყაროთ 15 გრ. ნუშის ფანტელი

გემრიელად მივირთვათ!



# ხოხბის ჩახოხბილი

**რეცეპტი** 4 ულუფა

**მოსამზადებელი დრო**
3-4 საათი

**ინგრედიენტები**
- ხოხობი
- გატარებული ნიგოზი 200 გრ.
- დატეხილი ნიგოზი 30 გრ.
- ბროწეულის წვენი 300 მლ.
- რეჰანი 20 გრ.
- ნიორი 3-4 კბილი.
- წითელი ხახვი 150 გრ.
- ხის სოკო 150 გრ.
- კარაქი 50 გრ.
- ხმელი ქინძი 3 გრ.
- დაფნის ფოთოლი 2 ც.
- სურნელოვანი პილპილი 3 გრ.
- სვანური მარილი 5 გრ.
- ბროწეულის მარცვლები 10-25 გრ.

**მომზადების წესი**
**1.** დარბილებამდე მოვხარშოთ ხოხობი სურნელოვან პილპილთან და დაფნის ფოთოლთან ერთად
**2.** მოხარშული ხოხობი დავჭრათ 6 ნაჭრად და დროებით გადავდოთ.
**3.** ღრმა ქვაბში, 50 გრ. კარაქში მოვთუშოთ წითელი ხახვი, ნიორი, და დავუმატოთ ხის სოკო. ყველაფერი ერთად მოვთუშოთ 5-8 წუთის განმავლობაში.
**4.** შემდეგ დავუმატოთ ხოხბის ნაჭრები, დავასხათ 300 მლ. ბროწეულის წვენი, 200 გრ. გატარებული ნიგოზი, წვრილად დაჭრილი 20 გრ. რეჰანი და 500 მლ. ხოხბის ნახარში. მასა წამოვადუღოთ და დაბალ ცეცხლზე 10 წუთი გავაჩეროთ დუღილის რეჟიმში.
**5.** მასის შესქელების შემდეგ გადმოვდგათ ცეცხლიდან და დავუმატოთ მარილი გემოვნებით, 3 გრ. სვანური მარილი და 3 გრ. ხმელი ქინძი.
**6.** ჭურჭელზე გადმოღებისას, მოვაყაროთ რეჰანის დიდი ფოთლები, 30 გრ. დატეხილი ნიგოზი და 10-25 გრ. ბროწეულის მარცვლები.

რესტორანი „**თფილისი მეიდანი**“
*რკინის რიგი #6, თბილისი*
*ტელ.: (+995) 599 25 06 25 / 322 75 10 38*





**ლიდერი ესპანეთში** დიზაინის, მშენებლობის, დეკორაციის მიმართულებით – **ახლა უკვე კავკასიაშია**

**grupolasrosasinternacional.com** **+995 577 122 208**






Grupo Las Rosas

INTERNACIONAL





აუზები,
წყლის ატრაქციონები,
ტოპოგანი,
შეუზღუდავი დროით
უსაფრთხო გარემოში

წელიწადის
ოთხივე
დროს



ჯინოში
სულ
ზაფხულია!



თბილისი,ბეშენოვას 9/ლიპტოვის 8
Gino Junior.ჯინო ჯუნიორი
(+995 32) 2 15 85 85
(+995 5) 99 88 09 06

# GINO JUNIOR

შოუპროგრამა აუზში
მხიარული ანიმატორებით,
საყვარელი გმირებით
და ფოტო-ვიდეო გადაღებით.
მრავალფეროვანი მენიუ

გახდი
ჯინო
ჯუნიორი!

აღნიშნე
იუბილე
ჯინო ფერედაისის
დაბადების დღის
ცენტრში







60 SOUND BITS WITH...

# ნიკა კუხალეიშვილი და გიორგი დობორჯგინიძე

მათი ხმები ერთმანეთში არასოდეს ეშლებათ. ასეთი ნიჭიერი და გემოვნებიანია რადიო „ფორტუნას“ მსმენელი. რადიოსადგურების მენეჯერებს კი ახალი სახეების აღმოჩენის უნიკალური ნიჭი აქვთ. ნიკა კუხალეიშვილი და გიორგი დობორჯგინიძე „ფორტუნას“ დიდ ოჯახს შედარებით გვიან შეუერთდნენ, თუმცა FM 106.9-ზე საკუთარი ადგილი უკვე დიდი ხანია იპოვეს.

**როგორც ვიცი, „ფორტუნაში“ ორივე შემთხვევით მოხვდით...**

ნიკა რადიო „ფორტუნას“ ერთ-ერთი წამყვანი ჩემი ლექტორი იყო ილიას უნივერსიტეტში. ცოტა ხანში რადიოჰოლდინგში სრულიად განსხვავებული მიმართულების მქონე პროექტი ჩატარდა, სადაც ჩემმა ლექტორმა მიმიწვია. თავიდან საცდელ პროექტზე დავიწყე მუშაობა, თუმცა მთელი ამ ხნის განმავლობაში ვიცოდი, რომ ჩემი ადგილი წამყვანების სკამზე იყო. რამდენიმე თვეში კონკურსი „იღბლიანი დებიუტი“ გამოცხადდა, სადაც გავიმარჯვე და წაყვანი გავხდი.

გიო ამ რადიოს წამყვანებს შორის ყველაზე პატარა ვარ ასაკითაც და სტაჟითაც. წამყვანის პოზიციაზე ვაკანსია შარშან გამოცხადდა. რეკომენდაცია ჩემმა მეგობარმა – ტატიანა გვენეტაძემ გამიწია. დამიბარეს, ჩავწერე ხმა და 2 კვირაში უკვე ეთერში ვიჯექი. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ამ პერიოდში აქცენტი გოგონებზე იყო გამახვილებული. წამყვან ბიჭს საერთოდ არ ეძებდნენ, თუმცა ისე მოხდა, რომ მეც „ფორტუნას“ გუნდს შევუერთდი.

**როგორია რადიო „ფორტუნას“ მსმენელი?**

ნიკა ჩვენი მსმენელიც ისეთივე მრავალფეროვანი და საინტერესოა, როგორიც თავად რადიოჰოლდინგი და მისი მუსიკალური ბაზა. ჯერ ავიღოთ ჰოლდინგი, რომელიც ოთხი სრულიად განსხვავებული ფორმატის რადიოსადგურად იყოფა. კიდევ უფრო კონკრეტულად რომ ვიმსჯელოთ და მხოლოდ რადიო „ფორტუნა“ განვიხილოთ, მისი შიგთავსიც ძალიან მრავალფეროვანია: გვაქვს ქართული ჰიტები, როკი, ბლუზი, სოული, პოპი... თუ ერთ წუთს ისმენ PINK FLOYD-ს, მეორე წუთს სრულიად ახალი და საინტერესო ჯგუფის – LUKAS GRAHAM-ის ნამუშევარი შეიძლება მოისმინო. თუმცა ეს გადასვლები ძალიან გემოვნებით და სასიამოვნოდ ხდება.

გიო ეთერს ყველაზე განსხვავებულ ელფერს მუსიკალური წამყვანები სძენენ. ყველას სხვადასხვა გემოვნება გვაქვს და ეს ეთერში ნამდვილად იგრძნობა. მე ყოველთვის ვხვდები, რომელი წამყვანი ზის ეთერში.

ნიკა შესაძლოა განრიგიც კი არ მახსოვდეს, მაგრამ მუსიკალური ბაზით მარტივად ვხვდები, ვინ არის ამ დროს ეთერში.

გიო ხმებიც საკმაოდ განსხვავებული გვაქვს. ხშირ შემთხვევაში, რადიოს წამყვანებს მეტყველებაც და ხმის ტემბრიც ერთნაირი გვაქვს, თუმცა ჩვენ სამნი ძალიან განსხვავებულები ვართ.

**რამდენად საინტერესოა ამ ჰოლდინგში მუშაობის გამოცდილება?**

გიო მიმაჩნია, რომ რადიოსივრცეში „ფორტუნა“ – ეს არის მწვერვალი, უმაღლესი სკოლა, რომელშიც უნდა მოხვდეს ის ადამიანი, ვისაც ხალხთან ურთიერთობა და კომუნიკაცია უყვარს. დანარჩენს უკვე სამუშაო გარემო და იმ ადამიანებთან ურთიერთობა ქმნის, რომლებიც საკუთარი საქმის პროფესიონალები არიან.

ნიკა ჩემ შემთხვევაში, ჰოლდინგთან ურთიერთობა რამდენიმე მიმართულებით შედგა. რადიოს წამყვანობის გარდა, ტელეკომპანია MUSICBOX-ში მქონდა გადაცემა „ავატარი“, რომელიც კინოს სფეროს მოიცავდა. განვიხილავდით საინტერესო კინომოვლენებს, პრემიერებს და ა.შ. რადიოშიც დაახლოებით იგივე ფორმატის გადაცემა მქონდა, თუმცა აქ ძირითადად კინოშედევრებზე გვქონდა აქცენტი გამახვილებული. ეს იყო რუბრიკა „25-ე კადრი“. შესაბამისად, ამ ჰოლდინგში მრავალმხრივი გამოცდილება მივიღე.

H

ტექსტი: ნინუცა მაისურაძე. ფოტო: HELLO!

HELLO! GEORGIA

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ნინო იოსელიანი

აღმასრულებელი რედაქტორი ნანკა კიკალია

რედაქცია ლულუ კახიანი, ზურა მახარაშვილი, მაკო მჭედლიშვილი, ელენე მარგალიტაშვილი
მოდის რედაქტორი თათია ლაშაური
მოდის რედაქტორის ასისტენტი კესო ლელუაშვილი
მოდის სტილისტი თეონა ელიზბარაშვილი
სტილისტის ასისტენტი ნანუკა კოშაძე
ფოტორედაქტორი სოფო იოსელიანი
მარკეტინგი მარიამ ზაქარეიშვილი, ნანუკა კაკაბაძე, ნინუცა მაისურაძე, ნათია რუხაძე
დიზაინერის ასისტენტი თამარ ცაგარეიშვილი

მთავარი დიზაინერი დავით სამსონიძე

¡HOLA! HELLO! INTERNATIONAL
FOUNDER ANTONIO SÁNCHEZ GOMEZ
HONRARY PRESIDENT EDUARDO SANCHEZ JUNCO
PRESIDENT MERCEDES JUNCO CALDERON
CHIEF EXECUTIVE OFFICER EDUARDO SANCHEZ PEREZ
GENERAL MANAGER JAVIER JUNCO AGUADO

ქართული ფონტები BPG DejaVu Sans, BPG Rioni Contrast, BPG Rioni Contrast Mt

ISO 9001:2008

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი: 00 995 322 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

Facebook.com/HELLOmagazinegeorgia
Twitter.com/Hellomagazinege



**რედაქციის მისამართი**: აკაკი შანიძის ქუჩა 13, თბილისი, 0179, საქართველო; **ტელ**.: +995 32 298 03 98; **ელ-ფოსტა:** info@hellomagazine.ge; www.hellomagazine.ge

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ HELLO!-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.



CHIGOGIDZE
WINES®
THE BEST WINE
FOR THE
BEST PEOPLE™
საუკეთესო ღვინო
საუკეთესო ხალხისთვის™
CHIGOGIDZE
WINES
SAPERAVI
DRY RED
GEORGIAN WINE
2015
TAVKVERI ROSÉ
DRY ROSÉ WINE
TSVANE-CHINURI
DRY WHITE
+995 32 2194455
info@chigogidzewines.com
www.chigogidzewines.com


PATRIZIA PEPE
'Bang Bang' Starring Dua Lipa
patriziapepe.com
ADDRESS: Tbilisi, Paliashvili st. 41; Vekua st. 3 – Shopping Center GTC
PHONE: 032 2 060 070
INSTAGRAM: PODIUM.BEAUTY.SALON.AND.SHOP
FACEBOOK: Podium. Beauty Salon & Shop/ პოდიუმი. სილამაზის სალონი და მაღაზია